# ალია

## „სითი პარკი“ მოსახლეობას ისევ ყვლეფს!

რატომ არ ასრულებს ნარმანია წინასაარჩევნო დაპირებას?

N147 /3077/ 7 ოქტომბერი 2014 წ. ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რას შეცვლის ზვიად ჯანყარაშვილი „ქართული ოცნების“ მართვაში?



## სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ მეპატრონის ძმას ფოთის მერი 200 ათასის გამოძალვაში ადანაშაულებს



# მარტოხელა დედის სტატუსი უქმდება

## რას აპირებს სამღვდელოება, თუკი პარლამენტი ევროსაბჭოს მოთხოვნის შესრულებას დაიწყებს



## რეგიონული ენების დაკანონების წინააღმდეგ ოპოზიცია გაერთიანდება



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# მარტოხელა დედის სტატუსი უქმდება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, კანონმდებლობაში მარტოხელა დედის, მამისა და მშობლის სამართლებრივი დეფინიცია განისაზღვრება.

რა აუცილებლობამ განაპირობა არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა, პროექტის მიხედვით, ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად, ვინ დაადგენს მარტოხელა მშობლის სტატუსს და რა შემთხვევაში მოხდება მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმება?

**„ალიას“ პარლამენტის ჯანდაცვისა კომიტეტის თავმჯდომარე, დიმიტრი ხუნდაძე ესაუბრა:**

**— ბატონო დიმიტრი, რამ განაპირობა კოდექსში ცვლილების შეტანის აუცილებლობა?**

– ეს საკითხი ყოველთვის პრობლემური იყო, რადგანაც, საქართველოში, არსებული მონაცემებით, არცთუ ისე იშვიათია, როცა მარტოხელა მშობელი ზრდის შვილს. ასეთ მშობელს, უნდა ჰქონდეს გამართული სოციალური და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები. ამიტომაც გახდა საჭირო, რომ ამ საკითხზე მუშაობა დაგვეწყო.

**— კანონპროექტი მხოლოდ სამართლებრივი მხარის მოწესრიგებას ითვალისწინებს, თუ სოციალურ მხარესაც მოიცავს?**

– ამ ეტაპზე, მხოლოდ სოციალური სტატუსი განისაზღვრება, რადგან ჩვენ რომ ახლა რაიმე სოციალურ პაკეტზე მუშაობა დავიწყოთ, არ იქნება სწორი, რადგანაც ჯერ არ ვიცით, რამდენია ამ სტატუსის მქონე პირი. ჯერ სამართლებრივად გავმართავთ საკითხს. შევიმუშავებთ სტატისტიკას, რამდენი ასეთი პირი გვყავს ქვეყანაში და შემდეგ გავაკეთებთ ფინანსურ გათვლას, რა სოციალური პაკეტი შეგვიძლია შევთავაზოთ ასეთ პირებს. როცა არ ვიცით, რამდენი არიან, ფინანსური გათვლა წარმოუდგენელია.

**— კანონპროექტის თანახმად, დეფინიცია — „მარტოხელა მშობელი“ შემოდის. აქამდე როგორ იყო განსაზღვრული?**

– ამ დრომდე, შემუშავებული იყო მარტოხელა დედის სტატუსი. ამ ფონზე, თუ შეიძლება იყო მარტოხელა დედა, რატომ არ შეიძლება იყოს მარტოხელა მამა?! ამის გამო შევჯერდით მარტოხელა მშობლის დეფინიციაზე.

**— და თქვენი პროექტის მიხედვით, ვინ ითვლება მარტოხელა მშობლად?**

– მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის, ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს, ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი და ბავშვის დაბადების არც ერთ ჩანაწერში არ არის ბავშვის მამის შესახებ მონაცემები. მარტოხელა მამა კი არის პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის შვილი და ბავშვის შვილად აყვანის მომენტში, არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში.

**— რაც შეეხება სტატუსის გაუქმებას. რა შემთხვევაში გაუუქმდებათ მარტოხელა დედას ან მამას სტატუსი?**

– კანონპროექტის თანახმად, მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ამ სტატუსის მქონე პირის რეგისტრირებულ ქორწინებაში გადასვლა, ან თუ შვილს 18 წელი შეუსრულდება.

**— ვინ დაადგენს მარტოხელა მშობლის სტატუსს?**

– კანონის თანახმად, სტატუსის პირობებსა და დადგენის საფუძვლებს, მექანიზმს დაადგენენ იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროები. სტატუსის მინიჭება განხორციელდება მათი მომართვიანობით და ასევე, ბაზიდანაც განხორციელდება მათთვის სტატუსის ავტომატურად მინიჭება.

**— ვისაც უკვე აქვს მინიჭებული, იმათი სტატუსი თუ გადაიხედება?**

– ვინაიდან ახალი დეფინიცია, მარტოხელა მშობელი შემოდის, მარტოხელა დედაც ამ სტატუსის ქვეშ გაერთიანდება და მათაც მარტოხელა მშობლის სტატუსი მიენიჭებათ.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ყველა იმ ახალგაზრდის დაპატიმრებას გეგმავენ, ვინც კი ჩვენს ოჯახს დაეხმარა“



ქუთაისში პოლიციელის მიერ მოკლული მირზა ბუჩუაძის ახლობლების ინფორმაციით, მოკლულის დასაფლავებისთანავე პოლიციელები ქუთაისში რეიდების ჩატარებას გეგმავენ.

მათივე ინფორმაციით, აქცენტი იმ ახალგაზრდებზე გაკეთდება, რომლებიც მომხდარი ფაქტის გამო განსაკუთრებით აქტიურობდნენ.

„დაკავებული პოლიციელის თანამშრომლები უბნებზე რეიდების ჩატარებას აპირებენ. მიცვალებულს დავასაფლავებთ თუ არა, გეგმავენ ყველა იმ ახალგაზრდა ბიჭის დაპატიმრებას, რომლებიც ჩვენს ოჯახს დაეხმარნენ“, – განაცხადეს მოკლულის ახლობლებმა. (ფრონტნიუსი)

## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს მფარველთა საბჭო ეყოლება



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მფარველთა საბჭო შეიქმნა. საბჭო შვიდი წევრისგან შედგება. მათგან სამი წევრი ცნობილი ქართველი ხელოვანია, კერძოდ, მომღერალი ბადრი მაისურაძე და მაყვალა ქასრაშვილი, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი; მფარველთა საბჭოს წევრია დირიჟორი დიმიტრი იუროვსკი, ვენის თეატრის სამხატვრო ადმინისტრაციისა და კასტინგის ხელმძღვანელი სებასტიან შვარცი, დირიჟორი ბრუნო ვაილი და ცნობილი რეჟისორი დიმიტრი ბერტმანი. საბჭოს წევრები წელიწადში ორჯერ შეიკრიბებიან. რაც შეეხება მფარველთა საბჭოს გეგმებს, მათი განცხადებით, ამის შესახებ საზოგადოებისთვის უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დავით კინწურაშვილმა განაცხადა, მფარველთა საბჭოების შექმნის პრაქტიკა მსოფლიოს ცნობილ თეატრებშია გავრცელებული. მისი თქმით, საბჭო ხელს შეუწყობს თეატრს სწორი მენეჯმენტის წარმართვაში, საერთაშორისო ავტორიტეტისა და ურთიერთობების გამყარებაში, საოპერო და საბალეტო პროდუქციის შექმნაში, გასტროლების დაგეგმვასა და განხორციელებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქი სომხეთის დელეგაციას შეხვდა




საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის დელეგაციას შეხვდა.

„მინდა მოგესალმოთ საქართველოს ეკლესიის სახელით. ის ისტორიული ურთიერთობა, რაც ჩამოყალიბდა საქართველოსა და სომხეთს შორის, დღესაც გრძელდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრულ და ბრძნულ ურთიერთობას ეკლესიებს შორის. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს კულტურას. სომხეთი და საქართველო არის ქრისტიანული ოაზისი და ამ ოაზისს უნდა გავუფრთხილდეთ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ძმური ურთიერთობა არ დაირღვეს“, – ბრძანა პატრიარქმა.

სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ გალუსტ სახაკიანმა უწმინდესს მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და ძმის გარდაცვალება მიუსამძიმრა. გარდა ამისა, სახაკიანმა ილია მეორეს საქართველოს ტერიტორიაზე სომხური ეკლესიების მფარველობა სთხოვა.

„ჩვენი ქვეყნის უმყარესი საფუძველი არის ქრისტიანული ფესვები და ჩვენ ვრჩებით ამ ყველაფრის მემკვიდრე და გამგრძელებელნი. კულტურული და რელიგიური ურთიერთობები უფრო უნდა გაღრმავდეს და ახალი ბიძგი მიეცეს. სომხეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ კულტურულ ფასეულობებს, რომელიც არა მხოლოდ სომხეთის საკუთრებაა, არამედ მსოფლიო ფასეულობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სომხურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც არა მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზეა, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ, მინდა თქვენი ყურადღება მივიზიდო საქართველოს ტერიტორიაზე სომხური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. მინდა გთხოვოთ, რომ თქვენი ყურადღების ქვეშ იყოს სომხური ტაძრები და მათი მოვლა-პატრონობა“, – მიმართა სახაკიანმა პატრიარქს. (რეპორტიორი)

## უცხოელ მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის გამკაცრება პრობლემებს არ შეუქმნის?



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პირობას დებს, რომ უცხოელ მოქალაქეებს სავიზო რეჟიმის გამკაცრება პრობლემებს არ შეუქმნის. მისი განცხადებით, საქართველოში სამუშაოდ და სასწავლებლად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქმიანობის გაგრძელებას ჩვეულ რეჟიმში შეძლებენ და საბუთების მოსაწესრიგებლად სპეციალური ვადა მიეცემათ.

„იუსტიციის სამინისტრო აუცილებლად გამოუძებნის გამოსავალს ყველა იმ უცხოელს, რომლებმაც, სამწუხაროდ, არ ისარგებლეს იმ 5-თვიანი პერიოდით, რომელიც ჩვენ მათ მარტიდან სექტემბრამდე მივეცით, რომ მოეწესრიგებინათ თავიანთი საბუთები. ჩვენ დამატებით დროს მივცემთ მათ, რომ საბუთები ყველამ მოიწესრიგოს, ვინც საქართველოში მუშაობს, გააგრძელოს მუშაობა, ვინც სწავლობს, გააგრძელოს სწავლა და არ ჰქონდეთ არავითარი შფოთვის საფუძველი, რომ საბუთებს ვერ მიიღებენ დროულად“, – განაცხადა წულუკიანმა.

„უცხოეთის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შესაძლო გადახედვის საკითხზე განცხადებები ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც გააკეთეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი პირველი სექტემბრიდან გაამკაცრა. (ფრონტნიუსი)



# „სითი პარკი“ მოსახლეობას ისევ ყვლეფს!

## რატომ არ ასრულებს ნარმანია წინასაარჩევნო დაპირებას?

უკვე არაერთხელ მომისმენია, რომ სულთამხუთავ „სითი პარკს“ ისეთი ავტომფლობელები დაუჯარიმებია, ვისაც ავტოპარკირების საშვი აქვს შეძენილი და 10-ლარიან ჯარიმას უწერენ. სამართლიანი პრეტენზიებით „სითი პარკის“ ოფისში მისულ დაჯარიმებულებს კი ეუბნებიან, ბოდიში, ტერმინალმა აურია და შეცდომით გამოიწერა ჯარიმა, მაგრამ რადგან გამოიწერა, გადაიხადეთ და მერე თანხა უკან დაგიბრუნდებათო. ჯერ ერთი, ამ 10 ლარს ან დააბრუნებს, ან – არა და მეორე, არარსებულ ჯარიმაზე უწევს ადამიანს მოცდენა, სირბილი და ნერვების შლა. ადამიანები უკვე დაიღალნენ „სითი პარკის“ ამდენი თავხედობით. გარდა ამისა, ბევრი ამ 10-ლარიან ჯარიმას ბანკში იხდის და იქ მომსახურების საფასურს, 1 ლარსაც ახდევინებენ. „სითი პარკმა“ უკანაც რომ დააბრუნოს ეს 10 ლარი, ძალიან ბევრი იმ ბანკში გადახდილ 1 ლარს მაინც იზარალებს. ახლა არ მითხრათ, 1 ლარი რა ფულიაო? ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში, ეს 1 ლარიც ფულია. ბოლოს და ბოლოს, არ უნდა დაადგეს „სითი პარკის“ თავგასულობას საშველი და ვეღარ უნდა მოვიცილოთ თავიდან? ეგეთი რა გვმართებს ამ ჰალსტუხიანი ყაჩაღებისა, რომ ლამის ყველა მეორე თბილისელს ნერვები დააწყვიტეს 7 წლის მანძილზე და ვეღარ მოგვიცილებია თავიდან?

თუ კარგად გავიხსენებთ, დავით ნარმანიამ მერის კაბინეტში შესვლიდან ცოტა ხანში განაცხადა, სექტემბრის ბოლოსთვის ვაძლევთ ვადას „სითი პარკს“ და ისეთი ხელშეკრულება უნდა წარმოგვიდგინოს, რომელიც თბილისელებზე უნდა იყოს მორგებული და არ ამ კომპანიაზე, როგორც ეს წინა ხელშეკრულებაში იყოო. სექტემბერიც მიიწურა...

**„ალია“ „სითი პარკის“ ამ მაქინაციისა და კომპანიის თბილისიდან გაგდების შესახებ, თბილისის საკრებულოს წევრს, ჯაბა სამუშიას ესაუბრა:**

– თქვენ რაც ახლა მომიყევით, ამგვარი მაქინაციების შესახებ მეც გავიგე. კი, უსინდისოდ და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე წერენ ამ 10-ლარიან ჯარიმებს, ახდევინებენ ხალხს და მერე ეუბნებიან, რომ უკან დაგიბრუნდებათ ეს თანხაო. „სითი პარკისა“ რა მჯერა, რომ ეს დავიჯერო? დიდი ეჭვი მაქვს, ეს ხალხის გაყვლეფის ახალი მეთოდია ამ კომპანიისა. რაც მათი თბილისიდან გაშვების საკითხი დადგა, მას მერე ძალიან აიშვეს, სხვადასხვა უსამართლო ჯარიმებს იგონებენ. ჯერ იყო და ვინც ახალი სანომრე ნიშნები აიღო, ის ხალხი დააჯარიმეს ტყუილად, ახლა კომპიუტერული პროგრამის არევას აბრალებენ ამ ჯარიმებს. არადა, როცა საკრებულოში შევხვდით „სითი პარკის“ წარმომადგენლებს, მათ თავიანთი ანგარიში წარმოადგინეს, მათ შორის, განხორციელებული ინვესტიციების შესახებ. როგორც მახსოვს, სულ 3-4 რაღაცაში ჰქონდათ ფული დახარჯული და ერთ-ერთი მათგანი იცით, რა იყო? ახალი კომპიუტერული პროგრამა შევიძინეთო და ამით იწონებდნენ თავს.

**— რამდენი გადავიხადეთ მაგ ახალ კომპიუტერულ პროგრამაშიო, ეგ არ უთქვამთ?**

– ზუსტად არ მახსოვს, მგონი, რამდენიმე მილიონი ლარი ეწერა იქ.

**— რას ბრძანებთ, ბატონო ჯაბა, კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზარზე ისეთი კონკურენციაა და იმდენი პროდუქტია, მილიონები ჩვეულებრივი, სამოქალაქო სამსახურებისთვის საჭირო პროგრამები არავითარ შემთხვევაში არ ეღირება. რამდენიმე მილიონად, შესაძლოა, „ნასასა“ და პენტაგონის კომპიუტერული პროგრამაც კი იყიდო კაცმა.**

– ვიცი, კაცო, ვიცი, რომ იქ ტყუილი ეწერა, მაგას რა ლაპარაკი უნდა, მაგრამ რა ღირდა ეს პროგრამა, ამას თავი დავანებოთ. არ მჯერა, რომ აქ კომპიუტერული პროგრამის ხარვეზთან გვქონდეს საქმე, ეს არის ახალი საშუალება ავტომფლობელებისგან ფულის ამოღებისა, რომელსაც, სათუოა, რომ მათ უკან დაუბრუნებენ, თუმცა, ცდას არ დავაკლებთ, რომ ეს ფული ხალხს დაუბრუნონ. თანაც, ეს უკვე რამდენიმე დღე გრძელდება. თუ პროგრამამ აურია, რით ვერ გასწორეს ამდენ ხანს?

**— ბოლოს და ბოლოს, არ უნდა გააძევოთ ეს „სითი პარკი“ თბილისიდან? დაიღალა ხალხი მათი თავგასულობით.**

– „სითი პარკის“ თბილისიდან გაშვების საუკეთესო საშუალება თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ და ვიცე-მერმა გააჟღერეს ამას წინათ. მერიამ უნდა მოიწვიოს საერთაშორისო აუდიტი, რომელიც ამ კომპანიის საქმიანობას შეისწავლის. არ მინდა მოვლენებს დავასწრო, მაგრამ გული მიგრძნობს, „სითი პარკის“ საქმიანობაში ბევრი ისეთი დარღვევა აღმოჩნდება, რომლებიც ავტომატურად, თბილისის მერიასა და ამ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა იქნება და თანაც, ასეთი არაერთი აღმოჩნდება. ეს საშუალებას მისცემს მერიას, რომ იურიდიული დოკუმენტი, თანაც საერთაშორისო აუდიტის მიერ დაწერილი, ხელში დაიჭიროს და მერე, ამის საფუძველზე გაწყვიტოს კონტრაქტი „სითი პარკთან“. ცხადია, ამ აუდიტის დასკვნა არ იქნება ერთადერთი, რაც მერიას „სითი პარკთა“ ურთიერთობის შეწყვეტის საშუალებას მისცემს, ფაქტები და არგუმენტები კიდევ ბევრი აქვს. ცივილიზებული გზით „სითი-პარკის“ გაშვების გზა ეს არის. კომპანია, რომელიც არაცივილიზებულად ექცევა ჩვენს მოქალაქეებს და მათ შორის მეც, ჩვენ ცივილიზებული გზით უნდა გავუშვათ თბილისიდან.

**— რასაც „სითი პარკი“ აკეთებს ამდენი წლის მანძილზე და განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში, ეს ყველაფერი არ არის ფინანსური პოლიციის ან სხვა სამართლებრივი სტრუქტურების შესწავლის საგანი?**

– მერწმუნეთ, არც ჩვენ, საკრებულო, და არც თბილისის მერია არაფერს შევარჩენთ „სითი პარკს“, თუ დაარღვიეს კანონი მისმა მესვეურებმა, ამისთვის პასუხს აგებენ. ამგვარ ფაქტებს მერია სამართალდამცავებს გადაუგზავნის. მართალია, გავიდა ის დათქმული ვადა, როცა მერიისთვის „სითი პარკს“ ახალი კონტრაქტი უნდა წარმოედგინა და კომპანიამ არაფერი არ წარმოადგინა, მაგრამ ესეც ამ კომპანიის უპასუხისმგებლობას უსვამს ხაზს. მათ არ შეუძლიათ ცივილიზებული ურთიერთობები, ცივილიზებულად მუშაობა, შეჩვეულნი არიან იმ სასათბურე პირობებს, რომელიც მათ „ნაციონალებმა“ შეუქმნეს. დღეს კი ამ ყველაფერს კარგავენ, ძალიან დიდი ფულის იოლად შოვნის საშუალებას ართმევენ. ძალიანაც კარგი, თუ არ წარმოადგინა დათქმულ ვადაში ახალი კონტრაქტი. ეს კიდევ ერთი კოზირია მერიისთვის, რომ მას არაფერი დაუთმოს და მისი თბილისიდან გაძევებისთვის ბოლომდე იბრძოლოს. იმედია, მალე ეს კომპანია დაგვემშვიდობება და თბილისიდან წავა.

**— ეგ „მალე“ როდის იქნება, ბატონო ჯაბა? ხალხი დაიტანჯა უკვე ამდენი ლოდინითა და „სითი პარკის“ აგრესიით. ის ხომ უკვე ფაქტია, რომ მის გაძევებას ალტერნატივა არ აქვს და რაც მალე გაუშვებთ, მით უკეთესი?**

– ჩემი და თბილისის მოსახლეობის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, „სითი პარკი“ უნდა წავიდეს თბილისიდან და რაც შეიძლება, მალე. მაგრამ ცოტაც დავიცადოთ, მესმის, რომ ხალხს უკვე, მაპატიეთ და. ყელში აქვს ამოსული ამ კომპანიის ეს უსაფუძვლო ჯარიმები, მაგრამ მერიას უნდა დავაცადოთ. დადოს იმ საერთაშორისო აუდიტმა ის დასკვნა, რომელშიც, სავარაუდოდ, „სითი პარკის“ მიერ მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევის მრავალი ფაქტი იქნება დაფიქსირებული. აი, მერე, წესით, წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს მერიასა და კომპანიას შორის ხელშეკრულების მოშლას.

**— იმ ჯარიმებს რაღა ეშველება, რომელსაც ამასობაში ხალხს უსაფუძვლოდ უწერენ?**

– მე ამ პროცესს თვალს მივადევნებ, დავუკავშირდები მერიის სამსახურის ხელმძღვანელებს, თავად „სითი პარკის“ მესვეურთ და რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ უკანონო ჯარიმები უკან დაუბრუნონ ხალხს. როცა ახალი სანომრე ნიშნების გამო ასევე უსაფუძვლოდ დააჯარიმეს ათასობით ადამიანი, მაშინ მეც, ჩემმა კოლეგებმაც საკრებულოდან და მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებმაც, რაც შეგვეძლო, ვიაქტიურეთ და სწორედ ამის შემდეგ გამოსწორდა ეს საქმე, როცა ხმაური და ერთი ამბავი ავტეხეთ, მერე შეწყდა ეს მახინჯი პროცესი, „სითი პარკი“ მერე გაჩერდა და ხელი აიღო ხალხის დაჯარიმებისგან, მოაგვარა ის ტექნიკური საკითხი, რომელიც ჯარიმების გარეშე გადაწყვეტდა ახალი სანომრე ნიშნების გაცემის პრობლემას. ყველანაირად ვეცდებით საკრებულოს წევრები, რომ ახლაც დავეხმაროთ ჩვენს მოქალაქეებს.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### იურიდიულმა კომიტეტმა მოსამართლეობის კანდიდატებს მხარი დაუჭირა



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრებმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებს ნინო ბაქაქურსა და ზურაბ ძლიერაშვილს მხარი დაუჭირეს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მარგველაშვილმა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეობის ორ ვაკანტურ ადგილზე ნინო ბაქაქურისა და ზურაბ ძლიერაშვილის კანდიდატურები პარლამენტს უკვე მეორედ წარუდგინა. თავდაპირველად მათი წარდგენა პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კანდიდატმა საპარლამენტო კომიტეტებში მხარდაჭერა მიიღო, პლენარულ სხდომაზე კენჭისყრისას მათ მხარი არ დაუჭირეს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ცხინვალი ლტოლვილთა საკითხის განხილვას აღარ აპირებს



ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის განცხადებით, ჟენევის დისკუსიის ფარგლებში ოსური მხარე ლტოლვილთა საკითხის განხილვას აღარ აპირებს. ამის შესახებ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენლის აპარატში განაცხადეს.

„ჩვენი დელეგაცია ამაზე არ ისაუბრებს, რადგან ქართული მხარე ამ საკითხის პოლიტიზებას ახდენს და უკვე რამდენიმე წელიწადია, ის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გააქვს. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ამ სხდომებში არ მონაწილეობს, შესაბამისად, მათი პოზიცია გათვალისწინებული არ არის. ეს პრობლემა მხოლოდ ქართული მხარის პოზიციიდან განიხილება. სანამ ეს პრაქტიკა არ შეწყდება, სამხრეთ ოსეთი ჟენევის დისკუსიის ფარგლებში ლტოლვილთა საკითხის განხილვაზე უარს აცხადებს“. – აღნიშნეს პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის აპარატში.

ოსური მხარის განცხადებით, „ჟენევის დისკუსიის დროს დელეგაციის მთავარი ამოცანა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის შემუშავება იქნება“. (ფრონტნიუსი)



# რას შეცვლის ზვიად ჯანყარაშვილი „ქართული ოცნების“ მართვაში?

6 ოქტომბერს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭომ პარტიის აღმასრულებელ მდივნად ზვიად ჯანყარაშვილი დანიშნა.

ვინ არის ზვიად ჯანყარაშვილი და რის თქმა უნდათ პარტიის მესვეურებს მისი დანიშვნით? დავიწყოთ თავიდან: სანამ ის „ქართული ოცნების“ რიგებში გამოჩნდებოდა, ანუ სიღნაღის რაიონში 2012 წლის არჩევნების დროს შტაბის უფროსად დაინიშნებოდა, ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფში“ მუშაობდა. მის შესახებ ძალიან მწირი ბიოგრაფიული მონაცემები არსებობს, საზოგადოებაში მხოლოდ იმაზე აპელირებენ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილია, მაგრამ კულუარული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის სამსახურში ღარიბაშვილამდე ჯანყარაშვილი ჩადგა და როგორც კარგმა მენეჯერმა, ნდობაც მალე დაიმსახურა. არ არის გამორიცხული, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი თავის დროზე ივანიშვილთან სწორედ ზვიად ჯანყარაშვილის მხრიდან მოხვედრილიყო.

როგორც კი კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ხოლო ჯანყარაშვილი ამავე სამინისტროს გენინსპექციის უფროსად. სწორედ მაშინ აყვირდნენ „ნაციონალები“ ნეპოტიზმსა და ნათესაური კავშირების სქემებზე, მაგრამ ის არჩევნებამდე გადადგა. გენინსპექციიდან მის წასვლას სკანდალი ახლდა, თითქოს თამაზ თამაზაშვილი ერთ-ერთ საავადმყოფოში მივიდა, გულის პრობლემები ჰქონდა, ყურადღება არ მიაქციეს, ამის შემდეგ ჯანყარაშვილი მივარდა, დებოში ატეხა და ასე შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ის სამსახურიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა და ასეთი ახსნა-განმარტებაც გააკეთა:

„არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შემდეგ, მე ჩავდექი სახელმწიფო სამსახურში. მე ერთგულად ვემსახურე საერთო საქმეს და პირნათელი ვარ ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარდამავალ პერიოდში მე ვეხმარებოდი და ერთგულად ვედექი გვერდში მთელ პოლიტიკურ გუნდს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს. დღეს, როდესაც უკვე გარდამავალი ეტაპი დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ და მასთან დაკავშირებული სიძნელეები გადალახულია, საჭიროდ ვთვლი, დავტოვო თანამდებობა, რადგან არ მინდა ჩემმა ყოფნამ ამ თანამდებობაზე გამოიწვიოს უხერხულობა, საზოგადოებაში დარჩეს რაიმე სახის შეკითხვა, ადგილი ჰქონდეს ხელახალ სპეკულაციებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე“.

პრინციპში, ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნას გენინსპექციაში მართლაც ახლდა გარკვეული უხერხულობები, მას უნდა გაეკონტროლებინა ის სამინისტრო, რომელსაც მისივე ახლო ნათესავი ხელმძღვანელობდა. გადადგომის შემდეგ ის ცოტა ხნით საზოგადოების თვალს მოეფარა, ჭორები და სკანდალები ჩაწყნარდა და როგორც კი პარტია „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდა, ირაკლი ღარიბაშვილმა ისევ გამოიყვანა მაშველის რანგში. არადა, „ქართულ ოცნებას“ მართლაც სჭირდება შველა, ის ახლა კომაშია, რომელსაც თავს დასტრიალებენ განაწყენებული აქტივისტები და საზოგადოების სხვადასხვა ფენები. ხალხმა ამ ძალისგან ვერ მიიღო ის, რასაც ელოდა. ჯანყარაშვილს ფინანსების კონტროლი დაევალება. მანამდე პარტიაში ფინანსებს, როგორც ითქვა, კახი კალაძე განაგებდა, მაგრამ უზარმაზარი სამინისტროს ხელმძღვანელია და ვერ იცლიდა, ყველა დეტალს ბოლომდე მიჰყოლოდაო.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წარმომადგენლების შეფასებით, პარტიულ საქმიანობაში ზვიად ჯანყარაშვილის ჩართვა პარტიას გააძლიერებს. კი, ბატონო, შეიძლება მან პარტია გააძლიეროს ფინანსურად და ორგანიზაციულად, შეიძლება დამყარდეს წესრიგი, მაგრამ პიარის თვალსაზრისით დამატებითი რგოლია საჭირო – ზვიად ჯანყარაშვილი არც ორატორია და არც პიარის სპეციალისტი. ადამიანი, რომლის ხეირიანი ფოტოც დღემდე არსად იძებნება და მისი ხმის ჩანაწერიც კი არ არსებობს, პარტიას პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ გაქაჩავს.

ეკა ბესელიას თქმით, ჯანყარაშვილს აქვს ძალიან კარგი პიროვნული რესურსი, პროფესიული კომუნიკაციის უნარი, მენეჯმენტის ცოდნა და ორგანიზაციული თვისებები. დიახ, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ჯანყარაშვილს აუცილებლად დასჭირდება პოლიტიკურად მოაზროვნე ორატორები. როგორც გია ვოლსკი ამბობს, ის იქნება პარტიული ფუნქციონერი. მანანა კობახიძის თქმით კი:

„ჯანყარაშვილი ძლიერი თვისებების მქონე პიროვნებაა. ის საქმიანობდა, როგორც „ქართულ ოცნებაში“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ასევე იყო ერთ-ერთი შტაბის ხელმძღვანელი, პარალელურად ის საქმიანობდა საჯარო სექტორში და ყველა გზა წარმატებით გაიარა“.

ეს ზოგადი შეფასებებია, მსგავსი სიტყვები ხშირად მოგვისმენია, მაგრამ გადის დრო და „ქართული ოცნება“ ადგილიდან არ იძვრის. თუ ეს პარტია ჯანყარაშვილმაც ვერ ამოქოქა, ჩათვალეთ, რომ 2016 წლის არჩევნებში ძალიან მწარედ ჩაფლავდება.

„ალია“ უკვე წერდა იმის თაობაზე, რატომ დასჭირდა ირაკლი ღარიბაშვილს თავისი ნათესავის „გამოძახება“. დიდი ხანია არსებობს მოლოდინი, რომ პრემიერი, რომელიც ამავდროულად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა, რეორგანიზებას მოახდენდა და გაძლიერდებოდა. რეორგანიზება დაიწყო კიდეც, ღარიბაშვილს გადაწყვეტილი აქვს, გუნდის ბირთვი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ერთ მუშტად შეკრას, გააძლიეროს და ერთი იდეოლოგიის გარშემო გააერთიანოს. ასეთ კომბინაციაში კი ბევრი, ვინც დღეს, „ქართული ოცნების“ ნიღაბს არის ამოფარებული, ამ გუნდში ვერ აღმოჩნდება, ღარიბაშვილმა კარგად იცის, ვინ არის მის პარტიაში გამყიდველი და ვინ მისი თანამოაზრე.

საინტერესოა, რას შეცვლის ზვიად ჯანყარაშვილი პარტიის მართვაში? წესით, პირველად რა ნაბიჯებსაც გადადგამს, ამის მიხედვითაც შეიძლება იმ ნიშნების დანახვა, საით მიდის და რა მომავალი ელის მმართველ გუნდს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნაფიცმა მსაჯულებმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გაამართლეს



თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა სერგეი ბაბოიანის მიმართ, ანა ბაბოევის დამამძიმებელ გარემოებებში ანგარებით და ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობისა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განხორციელებული ქურდობის ფაქტი განიხილეს. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამამართლებელი ვერდიქტი მიიღო. ბრალდებული სერგეი ბაბოიანი ვერდიქტის საფუძველზე, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი წარდგენილ ყველა ბრალდებაში და გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

წარდგენილი ბრალდების თანახმად: მარინე სიმონიანმა ანა ბაბოევისგან ნასესხები 5000 ლარის დაბრუნებისათვის თავის არიდების მიზნით, სერგეი ბაბოიანთან ერთად განიზრახა ანა ბაბოევის მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით აღნიშნული პირები 2014 წლის 08 თებერვალს, დაახლოებით 20:00 საათზე მივიდნენ ახალციხის რაიონის სოფელ ნაოხრებში მცხოვრებ ანა ბაბოევის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც სერგეი ბაბოიანმა მას გაუკავა ხელ-ფეხი, შემდეგ წაუჭირა ხელები ყელის არეში, ხოლო მარინე სიმონიანმა პირის არეში ჩაუტენა თავსაფარი, რის გამოც იგი ასფიქსიის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდგომ მარინე სიმონიანი და სერგეი ბაბოიანი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ანა ბაბოევის ნივთებს.

აღნიშნულ საქმეზე გაიმართა 15 სასამართლო სხდომა, დაიკითხა ბრალდების 16 მოწმე და დაცვის 11 მოწმე, ასევე თავად ბრალდებული, რომელმაც თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იქნა საქმეში არსებული ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებები.

სხდომის თავმჯდომარემ გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამართლებელი ვერდიქტი საბოლოოა და არ საჩივრდება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი პოლიციელებმა სცემეს



ინფორმაცია ამის შესახებ თავად გიორგი ხურციძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

„მე, გიორგი ხურციძე, რომელიც „ოცნების“ ახალგაზრდულის ერთ-ერთი ლიდერთაგანი და თუნდაც რიგითთაგანი ვიყავი, პოლიციამ ტყუილად მცემა. აი, ეს ამბავიც. გუშინ (5 ოქტომბერს) დღის 5 საათზე ჩემს მეგობართან მივიდა პოლიცია და საკმაოდ მკაცრი ტონითა და „ბლატაობით“ ცდილობდნენ გაერკვიათ მისი ვინაობა და წარმომავლობა. მივედი და ვიკითხე, რა ხდებოდა და ძაან უხეშად მითხრეს, შენ გაჩუმდიო და მეც მორჩილად ვუსმენდი. ჩემი მეგობარი მხოლოდ იმიტომ რომ შეეპასუხა, რასაც ჰქვია, ჩატენეს მანქანაში. გამოიხედა ერთ-ერთმა პოლიციელმა და დარჩენილ 2 მეგობარს გვეუბნება, დროზე დაახვიეთ აქედან თქვენი დედა .......... ძაან ცუდად გვაგინა ვარკეთილის პოლიციის უფროსის მოადგილე გიორგი კობაურმა. მე ხმა არ ამომიღია და ერთი, რაც გავაკეთე ტელეფონი ჯიბიდან ამოვიღე და ფოტო გადაუღე, რის შემდეგაც მეცნენ მხეცებივით, ჩამტენეს მანქანაში და დამიპირეს ტელეფონის წართმევა, რომელსაც არ ვაძლევდი. მცემეს ისე, რომ დაზიანებები არ დამტყობოდა, სულ მუცელში და ნეკნებში მირტყეს და ტელეფონიც წამართვეს, რომლიდანაც გადაღებული ფოტო და ვიდეო წაიშალა. ცემაში მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნული გიორგი კობაური და ასევე ვარკეთილის მასივის პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი ლაშა სხირტლაძე. წამიყვანეს განყოფილებაში, სადაც გამაჩერეს დაახლოებით 4-5 საათი. მისვლისთანავე პოლიციის უფროსი მოვიდა ვახო ჩოფლიანი და იკითხა, რაზე ვიყავით დაკავებულები, რომელსაც მოახსენეს რომ ვიყავით 173-ე მუხლით (წინააღმდეგობის გაწევა) მე ავუხსენი, რომ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია და აქეთ, პირიქით მომაყენეს შეურაცხყოფა. მეგონა, რომ ადამიანურად გაიგებდა. მოვიდა და მითხრა: შე დედა მო........ო წინააღმდეგობას როგორ უწევ ჩემს თანამშრომლებსო და არც მან დამაკლო რტყმევა. შემდეგ წამიყვანეს ნარკოლოგიურში, სადაც არაფერი არ დამიდგინდა, პოლიციელები მეუბნებოდნენ, რატომ არ დაგიდგინდაო.... ერთი თანამშრომელი იყო გიორგი ხუფენია, რომელიც ყველაზე კარგად და ზრდილობიანად იქცეოდა, დანარჩენი ვინც შემოვიდა და გავიდა, ყველა შეურაცხყოფას გვაყენებდა, მით უმეტეს უთხარი, ვინც ვიყავი, ანუ წლების განმავლობაში რატომ ვებრძოდი სააკაშვილის რეჟიმს. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ პოლიცია იყო არა ხალხის სამსახურში, არამედ მათ წინააღმდეგ..... ნარკოლოგიურიდან წამიყვანეს „კაპეზე“-ზე და ასე 12 საათზე გამომიშვეს, რის მერეც ხელწერილი დამაწერინეს, რომ გამომძიებლის დარეკილზე (რომელიც ამ დღეებში დამირეკავს) უნდა გამოვცხადდე, რადგან მექნება სასამართლო. ვნახოთ, რას გადაწყვეტს სასამართლო... „ნარუშნიკები“ მეორედ მედო, პირველად როცა 2012 წლის 5 აგვისტოს ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა იყო ბათუმში მე გახლდით შუახევის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, სადაც ჩვენს ახალგაზრდულში კუდ-ის მიერ ჩასმული აგენტი გამოვავლინე, რომელსაც მანქანაში ჰქონდა ჩამწერი აპარატურა, მე დამაპატიმრეს და მეორედ ეხლა მაპატიმრებენ იმის გამო, რომ პოლიციის დამოკიდებულება (დედის გინება) ტელეფონით გადავიღე.

§.შ. ყოჩაღ თქვენ, ვის გამოც წლები ვიბრძოლე და დღეს უდანაშაულოდ მაკავებენ, მაგინებენ და მირტყამენ. ეხლა მითხარით, რა არის გასაკეთებელი, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს????? და სანამ საბოტაჟი არ მოუწყვიათ ნაციონალებს, არ მოაშორებენ და მოკვეთენ ერთხელ და სამუდამოდ???“ – წერს ხურციძე.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ცემის ფაქტს გენერალური ინსპექცია იძიებს. (ფრონტნიუსი)

# სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ მეპატრონის ძმას ფოთის მერი 200 ათასის გამოძალვაში ადანაშაულებს



საფრანგეთში მცხოვრები ბიზნესმენი, მამუკა სოფრომაძე ფოთის მერისგან, ირაკლი კაკულიასგან 200 ათას დოლარს ითხოვს. ბატონი მამუკა ინგლისში მცხოვრები ბიზნესმენის, ვასილ სოფრომაძის ძმა გახლავთ. ეს ის ვასილ სოფრომაძეა, რომელსაც თბილისში ჰიპერმარკეტების ქსელი – „ფრესკო“ აქვს გახსნილი და ამ მარკეტში აყროლებული ქათამიც უნახავთ. შარშან ამ დროს ერთი ასეთი დამპალი ქათამი ჩვენს ჟურნალისტს, ნინო სამხარაძესაც ერგო წილად. ამის შესახებ 2013 წლის 11 სექტემბრის (№114) „ალიაში“ დაიწერა სტატია სათაურით: „ჰიპერმარკეტ „ფრესკოში“ ვადაგასულ პროდუქციას ყიდიან“, სადაც საუბარი იყო კონკრეტულ ფაქტზე, ანუ როგორ შეიძინა სამხარაძემ ქათამი და სახლში მიტანისას აღმოჩნდა, რომ ის ყარდა. ქათამი რომ საკვებად უვარგისი იყო და ყარდა, ამიანი ადასტურებდა, 2014 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ, ვასილ სოფრომაძეს მორალური ზარალისთვის მოთხოვნილ 1 000 000 ლარზე უარი უთხრა, „პატივი დაგვდო“ და „ალიას“ სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის და „ფრესკოს“ საადვოკატო მომსახურებისთვის 1500 ლარის გადახდა დააკისრა.

ეს ისტორია მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ საქმე გვაქვს იმ სოფრომაძეებთან, რომლებიც ჩვენგან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მილიონ ლარს ითხოვდნენ.

**ახლა კი ირაკლი კაკულიას მოვუსმინოთ:**

**— ბატონო ირაკლი, დეტალურად მომიყევით, რა ხდება, რა გაკავშირებთ მამუკა სოფრომაძესთან და რატომ ითხოვს თქვენგან 200 ათას დოლარს?**

– მამუკა სოფრომაძის მეუღლე არის ჩემი მეუღლის კლასელი. წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ რუსეთში და საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. მამუკას ძმას გაუმართლა, საკმაოდ გავლენიანი ბიზნესმენების წრეში მოხვდა, დღეს ვასილ სოფრომაძე ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად ითვლება, „ფრესკოს“ ქსელი მისია. 2012 წლამდე მე ოპოზიციაში ვიყავი, მაგრამ, როცა მამუკა საქართველოში ჩამოდიოდა, ერთმანეთს ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, აშკარად ჰქონდა სურვილი, რომ აქ სადმე ფული ჩაედო. მე იმ პერიოდში ურთიერთობები მქონდა ყაზახეთში და იყო საშუალება, რომ ჯართი გაგვეტანა. სულ მეუბნებოდა, რამე ბიზნესი გავაკეთოთო და მეც შევთავაზე. კიდევ ერთი პარტნიორი იყო, რაღაც გეგმები გვქონდა, მამუკას შევახვედრე, შევთანხმდით და წავედი ყაზახეთში. ეს ის პერიოდია, როცა „ახალ მემარჯვენეებში“ ვარ და ფოთში „ალიანსს“ ვხელმძღვანელობ, ასევე ვარ ფოთის საკრებულოს წევრი. 2008 წელს გაერთიანებული ოპოზიციიდან დამასახელეს ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატად, მაგრამ „ნაციონალებმა“ გამიყალბეს და ვერ გავედი. ალბათ, გახსოვთ, მაშინ რა ამბები იყო, დიდი აქციები იმართებოდა, ხალხი წამოვიყვანე თბილისში, დამიჭირეს, მერე გამიტაცეს, ჭალადიდის ტყეში ჩამომაგდეს. ჩემს ძმას დაცხრილვით დაემუქრნენ, დილის 6 საათზე სახლთან ავტომატი დამიცალეს. ამას იმიტომ გიყვებით, რომ დღეს მამუკა სოფრომაძე და მისი ხელქვეითები ჭორებს მივრცელებენ, თითქოს 2012 წლის შემდეგ მოვედი და მზამზარეულზე დავჯექი, ანუ გაშლილ სუფრას მივუჯექი. იმ დროს ჩემს ძმისშვილს ინსულტი დაემართა, მაგრამ მაინც არ შემშინებია. როდესაც ფოთში დაჭერები დაიწყო, წავედი საქართველოდან.

> **„სანამ საკითხებს გავიგებდით, მამუკა სოფრომაძე ურეკავს ერთ ჩემს მეგობარს და ეუბნება, ირაკლიმ ფული „მოტეხაო“. ეს უკვე ხდება 2013 წლის იანვარში და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთს გავეყარეთ, დავითვალეთ ყველაფერი და დადასტურდა, არათუ ვალი მქონდა სოფრომაძის, იქით უფრო მეტი დამიხარჯავს“**

**— ანუ სოფრომაძესთან ერთად ჯართის ბიზნესი წამოიწყეთ და წახვედით ყაზახეთში, ხომ?**

– იმ პერიოდში ყველასთვის აღმოვჩნდი ზედმეტი, მეგობრები ტელეფონზეც კი აღარ მპასუხობდნენ. შვილებს გეფიცებით, ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეუბნებით. მაშინ ოპოზიცია ჩაფლავდა, დაიწყო გულგატეხილობა და ამიტომაც წავედი ქვეყნიდან. მე ამათ ავუხსენი, რომ აქედან ყაზახეთში ბიზნესის კეთება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული, ზამთარში პრობლემები უფრო მატულობს. ამით ვუთხარი, რომ ყველაფერს ჩემს თავზე ვერ ავიღებდი. მოკლედ, გადაწყვიტეს, რომ ბიზნესი წამოგეწყო და ავად თუ კარგად, ორ წელიწად-ნახევარში იმდენს მივაღწიეთ, რომ ეს ბიზნესი საკუთარ თავს ინახავდა. ყაზახეთში კომპანია მოვნახე, ესენი დავაკავშირე, საქმე ნორმალურად მიდიოდა, უკვე მოგებაზე უნდა გავსულიყავით, მოხდა თანხების აკუმულირება, პროდუქციაც გვქონდა, რომლის გაყიდვასაც მე თვითონ ვაპირებდი და ამ დროს ერთ-ერთმა მსხვილმა პარტნიორმა, რომელსაც ყველაზე მეტი ფული ჰქონდა ჩადებული, თქვა, მე გავყიდიო. ესენი არ შეეწინააღმდეგნენ, მამუკა სოფრომაძემ მითხრა: ირაკლი, ფეხებზე დაიკიდე, კაცი ფულს მოიტანსო. აქ უკვე ინდოელები იყვნენ ჩართულები, გემებით გააგზავნეს ჯართი თურქეთში, იქ რაღაცა მოხდა, ხელშეკრულება არ გააფორმეს, მერე ფასი დავარდა და ტონაზე 60 დოლა-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა ბრალდებული პოლიციელის აღმკვეთ ღონისძიებაზე განცხადებას ავრცელებს



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და მირზა ბუჩუაძის მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციელს ლაშა ჯიხვაშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ლაშა ჯიხვაშვილს ბრალი მკვლელობასა და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე წარუდგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სასურსათო მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე. უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ლაშა ჯიხვაშვილისა და მისი კოლეგების მიერ მაღაზიის დაკვირვების კამერების ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი – წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 1993 წლის 7 მაისს დაბადებული მირზა ბუჩუაძე.

იმავე დღეს ზემოაღნიშნულ მაღაზიასთან მყოფმა ლაშა ჯიხვაშვილმა ავტომანქანით მოძრავი მირზა ბუჩუაძე შეამჩნია და კოლეგებთან ერთად ფეხით დაედევნა. ბუჩუაძემ ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან ჩიხში შეუხვია, ავტომანქანა მოაბრუნა და უკან იგივე გზის გავლით მოძრაობდა, რა დროსაც ჯიხვაშვილმა ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვა. მირზა ბუჩუაძე მოთხოვნას არ დაემორჩილა და გზა გააგრძელა. ამის შემდეგ ლაშა ჯიხვაშვილმა ავტომანქანის მიმართულებით გაისროლა, რასაც მ. ბუჩუაძის გარდაცვალება მოჰყვა.

საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტარიფის შემცირებით ბიზნესმა 1 მილიონ ლარამდე უკვე დაზოგა



ტარიფების ახალი მეთოდოლოგიით გადათვლის შემდეგ, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტარიფი კომერციული მომხმარებლებისთვის მაღალ და დაბალ ძაბვაზე, დაახლოებით 0.07 თეთრის ფარგლებში, ხოლო საშუალო ძაბვაზე – 1.25 თეთრის ოდენობით შემცირდა.

ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, შემცირებული ტარიფით ბიზნესი 1-ლი სექტემბრიდან სარგებლობს და ერთ თვეში კომერციული ტარიფის შემცირებით საქართველოს რეგიონებში კერძო სექტორმა დაახლოებით 1 მილიონი ლარი უკვე დაზოგა.

„შეგახსენებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანიებს შორის მოლაპარაკებების შედეგად მათთვის, ვინც თვეში 0-დან 300 კვტ/საათამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, ტარიფი 2013 წლის პირველი იანვარს ერთხელ 21-27%ით უკვე შემცირდა. 2013 წლის პირველ მარტს 5 თეთრით გაიაფდა ბუნებრივი აირის მოხმარების საფასურიც.

ტარიფების შემცირებით, ჯამში, საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად ათობით მილიონ ლარს ზოგავს“, – ნათქვამია ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)



## მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემისთვის 14 აფთიაქი დაჯარიმდა

მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემისთვის ჯანდაცვის სამინისტრომ 14 აფთიაქი დააჯარიმა, მათ ნაწილს კი ლიცენზია შეუჩერა. მონიტორინგის შედეგები მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს ჯანდაცვის მინისტრმა გააცნო.

დავით სერგეენკომ კომპანიებს ის ცვლილებებიც წარუდგინა, რომლებიც ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტთა ნუსხაში განხორციელდა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

რი ვიზარალეთ, საერთო ჯამში, ეს იყო 270 ათასი დოლარი. აი, აქ დაიწყეს ერთმანეთზე რაღაცების გადაბრალება. ამიტომ დავსხედით, მოვიწვიე დამატებით ბუღალტრები, შეხვედრას ჩემი ძმაც დავასწარი, რადგან ეს სოფრომაძე რამდენიმეჯერ ტყუილში დავიჭირე, რაღაცას რომ მეტყოდა, მერე უარყოფდა ხოლმე და ეს არ მომწონდა. რომ არ ეფიქრა, ვილაცები ჩარიაო, ძმა წავიყვანე. მე ყოველთვის ვიყავი კაცური საუბრის მომხრე. სანამ საკითხებს გავივლით, მამუკა სოფრომაძე ურეკავს ერთ ჩემს მეგობარს და ეუბნება, ირაკლიმ ფული „მოტეხაო". ეს უკვე ხდება 2013 წლის იანვარში და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთს გავეყარეთ, დავითვალეთ ყველაფერი და დადასტურდა, არათუ ვალი მქონდა სოფრომაძის, იქით უფრო მეტი დამიხარჯავს. მე ვიყავი ამ ბიზნესის დამამთავრებელი და ბუნებრივია, მეტად დავზარალდი. მამუკა სოფრომაძეს შეხვედრის შემდეგ ვუთხარი: მე შენ ახლა ხელს არ გაგარტყამ, შეურაცხყოფას არ მოგაყენებ, მაგრამ მეგობრებად ვითვლებოდით და არასწორად მოიქეცი, სანამ არ შევხვდებოდით, ასეთი რამ ჩემზე არ უნდა გეთქვა, არ ხარ კაი კაცი-მეთქი. ხმა არ ამოუღია, მარტო მისმენდა. მე ისიც ვუთხარი, ამის შემდეგ მაქვს მორალური უფლება, ფული იქით მოგთხოვო, სად მოგთხოვ და როგორ, ეს ახლა სალაპარაკო თემა არ არის-მეთქი. მესამე პარტნიორსაც არანაირი პრეტენზია არ ჰქონია, ერთმანეთს გავეყარეთ და ამით დამთავრდა. ამის შემდეგაც თითქოს ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ უცებ შემომიბრუნდა და დაიწყო ფულის მოთხოვნა. დღესაც არ ვიცი, ვინ რა უთხრა და რატომ შემომიტრიალდა. მამუკა სოფრომაძის მეუღლემ და მისმა დაქალებმა სოციალურ ქსელებში დამიწყეს გინება. უკვე იმდენად გადავიდნენ ზღვარს, დედაჩემსაც შეეხნენ, მამაჩემსაც, ოჯახსაც და ასე შემდეგ.

**— მამუკა სოფრომაძეს რაიმე დოკუმენტი აქვს, რომ მისი 200 ათასი დოლარი გმართებთ?**

– არავითარი დოკუმენტი არ გააჩნია... რაც ბუნებაში არ არსებობს, საიდან ექნება? მე მამუკა სოფრომაძის არანაირი ვალი არ მაქვს, პირიქით, ვარ მზად, იქით მოვედაო და მოვთხოვო მორალური თუ მატერიალური ზიანის ანაზღაურება. შევიტან შემხვედრ სარჩელს თაღლითობის ბრალდებით.

**„მან ჩემთან აღიარა, ვალი მაქვს და გადაგიხდიო, მაგრამ მერე საერთოდ დაიკარგა. ამის შემდეგ გავიგე, რომ „ქართულ ოცნებაში" შესულა და დაიწყო ლაპარაკი, მე უკვე პოლიტიკურ პარტიაში ვარ, მყავს „კრიშა" და ფულს არ დაგიბრუნებო. რაც შეეხება საბუთს, მე მაქვს მისი მიმოწერა, ერთი პერიოდი ანგარიშებს მაბარებდა"**

„ალია" კომენტარისთვის **მამუკა სოფრომაძეს** საფრანგეთში დაუკავშირდა:

– ესე იგი, ირაკლი კაკულია ამბობს, რომ მე მას ყოველგვარი საბუთის გარეშე ვთხოვ 200 ათას დოლარს, ხომ?

**— დიახ, ასეა.**

– მე მასთან ბიზნესი არ დამიწყია, ჩემი სახელით არაფერი არ ყოფილა დარეგისტრირებული, მე მან 2009 წელს მთხოვა, ფული მჭირდება ბიზნესის დასაწყებადო. 200 ათასი დოლარი ერთდროულად არ მიმიცია, 2009 წლიდან 2011 წლის ჩათვლით პერიოდულად ვაძლევდი ამ თანხას. მას საქმე გამოუვიდა თუ არ გამოუვიდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემთვის თანხა არ უნდა დაებრუნებინა. მე რომ სადმე ფული ჩამედო, საქმეს თვითონვე გავაკეთებდი. მე მას ვენდე, როგორც ადამიანს, ის იყო ჩემი მეგობარი, ჩემი ოჯახის ახლობელი. ამას ვერ უარყოფს.

**— არა, ამას არ უარყოფს.**

– ეს 200 ათასი დოლარი მე არ გამიფორმებია, ქაღალდი არ მაქვს. თვითონ მთხოვდა, მამუკა, დამეხმარე, შენს სახელსაც გამოვიყენებო. მე ყაზახეთშიც ვიყავი ჩასული, რაღაცებში მივეხმარე. თუ ვალი გადამიხადა, რაღაც საბუთი ხომ უნდა არსებობდეს?

**— კი, მაგრამ მაშინ იმის საბუთიც უნდა არსებობდეს, რომ თქვენ მას ფული მიეცით.**

– მე მას 2012 წლიდან ამ წლის აგვისტომდე ადამიანურად ვთხოვდი: ვიცი, რომ შენ არ გაქვს ამდენი თანხა, თვეების მიხედვით გადავანაწილოთ, ერთი წელი გაიწელება თუ ორი, ამაზე დაგთანხმდები-მეთქი. მან ჩემთან აღიარა, ვალი მაქვს და გადაგიხდიო, მაგრამ მერე საერთოდ დაიკარგა. ამის შემდეგ გავიგე, რომ „ქართულ ოცნებაში" შესულა და დაიწყო ლაპარაკი, მე უკვე პოლიტიკურ პარტიაში ვარ, მყავს „კრიშა" და ფულს არ დაგიბრუნებო. რაც შეეხება საბუთს, მე მაქვს მისი მიმოწერა, ერთი პერიოდი ანგარიშებს მაბარებდა.

**— ირაკლი კაკულია ამბობს, რომ ბოლო შეხვედრაზე შეთანხმდით და პატიოსნად დაიშალეთ, ანუ 200 ათასი დოლარი მერე გაგახსენდათ. გარდა ამისა, თუკი ერთობლივი ბიზნესი არ გქონდათ, ანგარიშებს რატომ გაბარებდათ?**

– არავითარი პარტნიორები მე არ მყოლია, დადოს კაკულიამ დოკუმენტი, სად, რომელ კომპანიაში ვარ გაფორმებული? დირექტორის მოადგილე ვიყავი, აქციონერთა საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი, თუ რა? მან ფირმა გააკეთა ყაზახეთში და იყო დირექტორი. ანგარიშებს მაბარებდა, როგორ? ამდენი ფული რომ მივეცი, მაინტერესებდა, რაში ხარჯავდა, თვითონ მწერდა, ამას ვაკეთებ, იმას ვაკეთებო.

**— თქვენ ფულს „ქეშად" აძლევდით თუ ურიცხავდით?**

– არა, ის თვითონ მთხოვდა, ხელზე მომეციო. მე ყველაფერი პროკურატურაში მაქვს წარდგენილი, მიმოწერაც და ანგარიშებიც, რასაც ის მაბარებდა.

**— ანუ კაკულიას პროკურატურაში უჩივლეთ?**

– დიახ, ვუჩივლე და გამოძიებაც დაწყებულია.

**„თბილისში რომ ჰიპერმარკეტების ქსელი „ფრესკო" არსებობს, ვისია?**
**— ამის შესახებ ჩემს ძმას ჰკითხეთ. მე მასთან მხოლოდ ნათესაური და ძმური დამოკიდებულება მაქვს. მასთან ერთად არასოდეს საქმე არ მიწარმოებია და საერთო საკითხები არ მქონია"**

**— თბილისში რომ ჰიპერმარკეტების ქსელი „ფრესკო" არსებობს, ვისია?**

– ამის შესახებ ჩემს ძმას ჰკითხეთ. მე მასთან მხოლოდ ნათესაური და ძმური დამოკიდებულება მაქვს. მასთან ერთად არასოდეს საქმე არ მიწარმოებია და საერთო საკითხები არ მქონია.

**— თქვენმა ძმამ გაფუჭებული ქათმის გამო სასამართლოში გვიჩივლა, მილიონ ლარს ითხოვდა და საქალაქომ 6500 ლარი დაგვაკისრა.**

– არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით ამასთან დაკავშირებით. აზრზე არა ვარ ამ საკითხთან მიმართებაში, პირველად მესმის.

**ჩვენ ჯერ არ ვიცით, რას და როგორ გამოიძიებს პროკურატურა, როგორ დამთავრდება ირაკლი კაკულიასა და მამუკა სოფრომაძის დავა, მაგრამ, ალბათ, უახლოეს ხანში მოგვეცემა საშუალება, „ფრესკოს" მეპატრონეს, ვასილ სოფრომაძესაც დაველაპარაკოთ... კითხვა კი არაერთი გვაქვს.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოპოზიციური პარტიები ერთობლივ ფორმატს ქმნიან



ინტერპარტიული ჯგუფი აქცენტს საარჩევნო კოდექსში არსებულ რამდენიმე საკითხზე აკეთებს. შემუშავებულია აუცილებელი ცვლილებების გარკვეული ჩამონათვალიც, მათ შორისაა საარჩევნო სისტემის ცვლილება, საარჩევნო სიების ბიომეტრიული ტექნოლოგიებით ფორმირება, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის თანაბარი საარჩევნო პირობების უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული რესურსით მანიპულაციის აღკვეთა. (ნიუპოსტი)

## გადაუდებელი დახმარების მედიკამენტების ჩამონათვალს 9 მედიკამენტი დაემატა



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, გადაუდებელი დახმარების მედიკამენტების ჩამონათვალს დაემატა: „ამიოდარონის", „გლიბენკამიდის", „მეტფორმინის", „კაპტოპრილის", „ნიფედიპინის", „მეტოპროლოლის", „პრედნიზოლინისა" და „ფუროსემიდის" აბები.

აღნიშნულ პრეპარატებს აფთიაქები ურეცეპტოდ, მხოლოდ გადაუდებელი მდგომარეობის დროს, ერთჯერადი დოზის ოდენობით გასცემენ.

„ჩვენ მუდმივად ვატარებთ მონიტორინგს მიმდინარე პროცესებზე. გვაქვს კარგი თანამშრომლობა. მოხარული ვარ, რომ ის მღელვარება, რაც რეცეპტის ინსტიტუტის აღდგენის პირველ ეტაპზე იყო, ფაქტობრივად, ჩამცხრალია და დარღვევებიც მინიმუმამდეა დასული", – განაცხადა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იქ აქცენტს ყურადღებას არ აქცევენ"



ეკა ბესელიამ ევროსაბჭოში მისი სიტყვით გამოსვლის შემდეგ ატეხილ აჟიოტაჟს უპასუხა. მისი თქმით, არასერიოზულია აღნიშნულ საკითხზე იმ ხალხის განცხადებები, ვისაც ქართულად მეტყველება უჭირს.

„საერთოდ, ძალიან დიდ უკულტურობად და დაბალ დონედ ითვლება, განსაკუთრებით ევროსაბჭოში, სადაც ძალიან ბევრი დელეგაცია წარმოდგენილი, როდესაც იწყება საუბარი, ვინ რა აქცენტით საუბრობს, იქ შინაარსს უსმენენ და არა იმას, ვინ საუბრობს აქცენტით თუ უაქცენტოდ. საერთოდ, ასეთი უკულტურობა მე მგონია, რომ ძალიან უხერხულად აისახება იმ ადამიანებზე, ვინც ზოგადად ამაზე საუბრობს. იქ ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რაზე საუბრობენ ქვეყნების წარმომადგენლები და არა იმაზე, ვინ როგორი აქცენტით საუბრობს ევროპის საბჭოში. ასეთ თემებს, როგორც წესი, არ განიხილავენ და მე მგონი, ცოტა უხერხულიც კი არის. გულწრფელად გითხრათ, კომიკურია საერთოდ ამ თემებზე საუბარი". – განაცხადა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

## ღარიბაშვილს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ



არასამთავრობო ორგანიზაციები პრემიერ-მინისტრს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ. „საია" და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" არასრულწლოვნის მისამართით ირაკლი ღარიბაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებაზე საუბრობენ.

მათი თქმით, პრემიერ-მინისტრმა იმის დასადასტურებლად, რომ სასამართლო თავისუფალია, მაგალითად მოიყვანა „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის ძმის საქმე, როცა სასამართლოს პირველმა ინსტანციამ მას წინასწარი პატიმრობა არ შეუფარდა.

მათი თქმით, ეს ბადებს ეჭვს, რომ მიმდინარეობს სერიოზული კონტროლი. ახალგაზრდა იურისტებმა, შესაძლოა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს იმ მოსამართლის წინააღმდეგ საჩივრითაც მიმართონ, რომელმაც „რუსთავი 2-ის ჟურნალისტის არასრულწლოვანი ძმის საქმე განიხილა.

„ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტები და მათი ოჯახის წევრები განსაკუთრებული მონიტორინგის ქვეშ იმყოფებიან და პრემიერი დაინტერესებულია უმნიშვნელო საქმეებითაც, რომელიც შეეხება ჟურნალისტებს და მათი ოჯახის წევრებს. მე ვფიქრობ, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი დამოკიდებულება. ჩვენთვის გაუგებარია, საიდან აქვს პრემიერ-მინისტრს დრო იმისთვის, რომ ჟურნალისტების ოჯახის წევრებით დაინტერესდეს. ვფიქრობთ, რომ ეს შეიძლება აღქმული იყოს, როგორც გზავნილი ჟურნალისტებისთვის, იმისთვის, რომ მათ იმოქმედონ ისე, როგორც შესაძლოა, საჭიროდ თვლის ხელისუფლება", – განაცხადა ეკა გიგაურმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# რას აპირებს სამღვდელოება, თუკი პარლამენტი ევროსაბჭოს მოთხოვნის შესრულებას დაიწყებს

**„ალიას“ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა გიორგი რაზმაძე ესაუბრა:**

**— მამა გიორგი, ევროსაბჭოს რეზოლუციაში წერია, შეშფოთებული ვართ ქართველ საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობითო. თქვენ ადრე ინტერვიუში მითხარით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებიდან ერთსქესიანთა ქორწინების მოთხოვნამდე ერთი ნაბიჯიაო. ეს ტექსტი როგორ გენიშნათ?**

– ბუნებრივია, დასავლეთში არ არიან ბოლომდე კმაყოფილი იმით, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს. ეტაპობრივად უჩნდებათ მოთხოვნები და რაც მეტად გადადგამენ ნაბიჯს, საკუთარ ქვეყანაში მით მეტად მძიმე შედეგები მოჰყვება ამას. ევროპა ამაზე არ გაჩერდება, ამათი ინიციატივა იყო ის, ყველაფერი გაეკეთებინათ იმისთვის, რომ ევროპელებისთვის ესიამოვნებინათ. ისინი კი ისე იქცევიან, რომ თითქოს ოკეანე უარს ამბობდა, მდინარის წყალი ჩადენილიყო მასში. ასეა ევროპა, რაც მეტს უთმობ, მით მეტი უნდა შენგან. ასე რომ, თუ ჩვენ რაღაც ზომიერება არ ვიპოვეთ, სადღაც არ გავჩერდით, ისე გაითქვიფება ეს ყველაფერი ერთმანეთში, რომ ქართული და ტრადიციული აღარაფერი დაგვრჩება.

**— ხედავთ, რომ ხელისუფლება სადმე გაჩერებას აპირებს?**

– სამწუხაროა, რომ ვერ ხედავს ხელისუფლება ზღვარს. ასეთი თავშეუკავებელი საქციელი ხელისუფლების მხრიდან საეჭვოა, რა გითხრათ, ვილაცასთან უნდა გაიარონ ამ ადამიანებმა კონსულტაცია, მასზე ჭკვიან ადამიანებთან, ვინც ცოტათი მაინც აზროვნებს და ქვეყანა უყვარს.

**— ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ ქართველი ერი დგას სამ პოსტულატზე: ენა, მამული, სარწმუნოება. მამული დანაწევრებულია, ტერიტორიები ჩამოგვაჭრეს, სარწმუნოებას რაც გაუკეთეს ყველა კონფესიის მართლმადიდებლობასთან გათანაბრებით, ეგეც ვიცით, ახლა ენასაც ემუქრება საფრთხე. ევროსაბჭო რეგიონული ენების სტატუსის შემოღებას გვთხოვს.**

– ენა? რომელი ენა? ქართული ენა ენას ჰგავს? იმდენი უცხო სიტყვა არის შემოსული და ისე დაბინძურდა, 10-ტომიანი ლექსიკონი გამოვა, რომ გავარკვიოთ ქართველებმა, რას ვლაპარაკობთ. საით მივექანებით, გაუგებარია. როცა „ნაციონალური“ ხელისუფლება იყო სათავეში და პრიორიტეტად დაისახეს ინგლისური და კომპიუტერი, მაშინ პატრიარქმა თქვა, იქნებ ძველი ქართული ენა გვესწავლა, ამაზე მდიდარი ენა არ არსებობსო. სამწუხაროდ, პატრიარქის შეგონებას მხოლოდ ის ადამიანები უსმენენ, რომელსაც რწმენაც აქვს, სათნოებაც და ენაზეც ზრუნავენ. მიმდინარეობს პროპაგანდა, რომ ქართული ენა მცირე ჯგუფის ენაა, რომ მერე საერთოდ გაუჩინარდეს. ახლა დაიწყება რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება, აზერბაიჯანულსა და სომხურს ისე წამოწევენ, რომ ენობრივად გაგვითანაბრდებიან. ეს ყოვლად მიუღებელია. გეკითხებით, აზერბაიჯანში ან სომხეთში ქართულ ენას პრიორიტეტს მისცემენ? ამიტომ ჩვენ თუ არ გავუფრთხილდით ჩვენს ფასეულობას, არაფერი გამოვა. ერთი რამ გამახსენდა, როცა საზერძნეთიდან ხალხი გადაასახლეს თურქებმა, ზოგმა ენა შეინარჩუნა და სარწმუნოება დაკარგა. ვინც ვერ შეინარჩუნა, საქართველოში გადმოსახლდნენ. მერე მასობრივად დაბრუნდნენ სამშობლოში და ყველამ ენა დაიბრუნა. ამით იმის თქმა მინდა, რომ, თუ რწმენას თავში არ დავაყენებთ, ენასაც დავკარგავთ. ეტაპობრივად გვაკარგვინებენ ფასეულობებს, ჯერ იყო ანტიდისკრიმინაციული კანონი და მერე ყველაფერი ეტაპობრივად მოჰყვება. ის, რაც ვერ მოასწრო წინა ხელისუფლებამ, ესენი ეცდებიან გაკეთებას. ყველაფერზე კვერი რომ დავუკრათ ევროპელებს, არ შეიძლება, პირიქით, ისე უნდა შევიდეთ ევროპულ ოჯახში, რომ ფასეულობების აღრევა არ უნდა მოხდეს. ყველა, ვინც ამ ოჯახში შედის, იცავს იმ ღირებულებებს, რომლითაც მოვიდნენ აქამდე და ჩვენ რა გვეტაკა ამ ქართველებს, რომ ყველაფერი თავდაყირა დავაყენეთ. ამ ხალხს ერთი რამ ავიწყდება, რომ უამრავი ისტორიული მაგალითი გვაქვს წინ. საფრანგეთში დახმარების სათხოვნელად სულხან-საბაც კი იყო ჩასული, რწმენაც შეაცვლევინეს ამ ადამიანს და რომელ დახმარებაზე იყო საუბარი? საქართველოში კიდევ წვერით ათრიეს ეს ადამიანი. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, რა გაუკეთებია ევროპას საქართველოში. უამრავი მიწა მიგვაყიდვინეს სომხებისთვის. ახლა კი, როგორაა საქმე, იცით? თუ ვინმე ეროვნული კაცია, არ ჩანს, მაინცდამაინც ეს ნულპროცენტიანი „რესპუბლიკელები“ არიან ყველგან და მიდის მათი იდეების ქადაგება. რასაც დააწკაპუნებს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ცოლი, იმას აკეთებს მთელი პარლამენტი. ეს ხომ უზნეობაა?

**— თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რა საფრთხეს ხედავთ რეგიონული ენის სტატუსის შემოღებაში? როგორც ჩანს, ამასაც ისეთივე გრიალით მიიღებენ, როგორც ანტიდისკრიმინაციული მიიღეს.**

– ეჭვი არ შეგეპაროთ, ამასაც ასე მიიღებენ და სხვა მსგავს კანონსაც. მე ვხედავ საფრთხეს იმისას, რომ დადგება საქართველოში ჟამი, როცა ქართულ საუბარსაც აგვიკრძალავენ ან შეზღუდული იქნება. ხომ გახსოვთ, ერთი პერიოდი ქართული ღვთისმსახურებაც კი იყო აკრძალული, ალბათ, იგივე დრო დადგება, ან ინგლისური ან სინგაპურული იქნება საღვთისმეტყველო ენაც.

**— რა პოზიცია აქვს საპატრიარქოს ამ საკითხზე, თუ კანონის მიღებაზე**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*




**„სამწუხაროდ, პატრიარქის შეგონებას მხოლოდ ის ადამიანები უსმენენ, ვისაც რწმენაც აქვს, სათნოებაც და ენაზეც ზრუნავენ. მიმდინარეობს პროპაგანდა, რომ ქართული ენა მცირე ჯგუფის ენაა, რომ მერე საერთოდ გაუჩინარდეს. ახლა დაიწყება რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება, აზერბაიჯანულსა და სომხურს ისე წამოწევენ, რომ ენობრივად გაგვითანაბრდებიან. ეს ყოვლად მიუღებელია“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დათა ახალაიას ექსტრადირების საკითხი, სავარაუდოდ, ოთხშაბათს გაირკვევა



საბერძნეთში გამართულ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის სასამართლო პროცესზე მხარეებს მოუსმინეს.

დათა ახალაიას ინტერესების დამცველის ინფორმაციით, მომდევნო პროცესი ოთხშაბათისთვის ჩაინიშნა, სადაც მოსამართლე კუდ-ის ყოფილი უფროსის საქართველოში ექსტრადირების საკითხზე, სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

დათა ახალაია საბერძნეთში რამდენიმე თვის წინ დააკავეს. ის საბერძნეთიდან იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. ახალაია გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული, მათ შორის ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციისა და გირგვლიანის საქმეზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ახალ წლამდე გამოვჩნდები ეთერში, კვირაში ერთხელ მაინც“



ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის საავტორო გადაცემა, ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე კი დაახლოებით ერთ თვეში გავა ეთერში.

მისი თქმით, სავარაუდოდ, გადაცემა კვირაში ერთხელ გავა.

„როგორც იცით, ვამზადებ ტელეპროექტს. ამაზე მეტს ვერ გეტყვით დეტალებზე, რადგან დაზუსტებული არ გვაქვს. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე ერთ თვეში გავალთ, ალბათ, ეთერში. ამ პროექტით მე გამოვჩნდები და ვიქნები აქტიური კვირაში ერთხელ მაინც“, – განაცხადა ივანიშვილმა. (ნიუპოსტი)



## ბონდო შალიკიანის ოჯახი გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას ითხოვს

ამ შინაარსის განცხადება სამინისტროში, ეკონომიკის მინისტრის სახელზე შალიკიანის ოჯახის წევრებმა დატოვეს.

ისინი ქუთაისში ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ითხოვენ. მათი ინფორმაციით, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონების ნაწილი უკვე გასხვისებულია, ნაწილი კი უწყებამ აუქციონზე რამდენიმეჯერ გაიტანა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

**დაიწყება ხელისუფლებაში საუბარი, რას აპირებთ?**

– ზუსტად არ ვიცი, რას გადაწყვეტს საპატრიარქო, თუ ასეთი საფრთხის ქვეშ დადგება ქართული ენა, საპატრიარქო აუცილებლად გააკეთებს განცხადებას. იტყვის იმას და შეაგონებს ქართველ ხალხს, რომ დავფიქრდეთ, რა ნაბიჯებს ვდგამთ, გვინდა ისეთი ევროპა, რომელიც ჩვენსას გვავიწყებს და გვთავაზობს იმ ხილის მიღებას, რაც ჩვენთვის მიუღებელია? თუ ვინმე მოწოდებულია ამისთვის, წავიდეს და იცხოვროს მათთან, ვისთანაც უნდათ, აქ რა ესაქმებათ?

**— მამაო, ანტიდისკრიმინაციული კანონის გამოსაწვევად ხელმოწერებს აგროვებდით. ბოლო დროს წინასწარ საუბრები თუ გქონდათ პარლამენტარებთან ამ საკითხზე და რა პირი უჩანს ამას?**

– ჯერჯერობით არ გვქონია არანაირი საუბრები, არც შეგვიტანია, რადგან იმდენი პრობლემაა დაგროვილი ჩვენს ირგვლივ, საიდან დავიწყოთ, არ ვიცით. ქართველები კი, სანამ პრობლემას უშუალოდ არ შევეჩეხებით, წინასწარ საფრთხეს ვერ ვგრძნობთ ხოლმე. ეს არის ჩვენი უბედურება. ევროპელები ამას მშვენივრად აკეთებენ და ქართველებმა სხვა რამეს თავი დაანებონ, ეს მაინც გადაიღონ ევროპელებისგან.

**— ანტიდისკრიმინაციული კანონი როგორ მიიღეს კარგად გვახსოვს. თუკი ახლა ხალხი მასობრივად გამოვიდა და რეგიონული ენების შემოღება გააპროტესტა, გაბედავს და გადაახტება თავზე ხელისუფლება ხალხს?**

– თუ ეს მოთხოვნა მოდის ევროპიდან, კი არ გადაახტება, ჩათვალეთ, რომ გადამხტარია უკვე. წინ ვინ დაუდგება. რახან მოითხოვა მამა მარჩენალმა ევროპამ, უნდა მიიღონ ეს კანონი, თორემ დაემუქრებიან, იცოდეთ, „ნაციონალებს“ დავაბრუნებთ სათავეშიო. ამათ კი ეშინიათ, რომ მუქარა თუ ასრულდა, „ნაციონალები“ ამათ შავ დღეში ჩაყრიან.

**— მართალია, ხელისუფლება მოსწყდა ხალხს, მაგრამ ეკლესია არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია ამ კანონებზე ხელი ააღებინოს. მზად არის ეკლესია, მრევლს რეგიონული ენის სტატუსიდან მომდინარე რეალური საფრთხე დაანახოს და გარეთ გამოიყვანოს?**

– მრევლმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს პატრიარქს, რადგან ის მწყემსმთავარია და რასაც ის აკურთხებს, აუცილებლად უნდა შესრულდეს. მას ღვთის მადლით მინიჭებული აქვს ერის სულიერი მამობა და მისი სიტყვა უნდა შესრულდეს. როცა ერი არ უჯერებს პატრიარქს და ყოფილა ეს შემთხვევებიც, მივსულვართ მძიმე შედეგებამდე. ახლა ხედავთ, რა ხდება? მაქსიმალურად ცდილობენ ეკლესიის დისკრედიტაციას ყველა საშუალებით. ქუთაისში ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის უზრდელი წარმომადგენელი იცით, რას ამბობდა? რას გამოდიხართ ქუჩაში, რომ ჭკუას გვასწავლით, ეკლესიაში იყავით და იქ იქადაგეთო. წარმოიდგინეთ, რა გველოდება, ამათ რომ ხელში ჩაუგდო ისევ ხელისუფლება. მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი და იქვე ეწეოდნენ დისკრიმინაციას თავიანთი საუბრით. დეპუტატი თამარ კორძაია კი ამბობდა, ბარემ პატრიარქს მივცეთ მანდატი და პარლამენტის წევრად ავირჩიოთო, მეტი უზრდელი ადამიანი არ მინახავს!. გლობალიზაციამ ისე შთანთქა ჩვენი აზროვნება, რომ ვ ე ღ ა რ ვაზროვნებთ, ესაა ჩვენი დანაშაული. სასულიერო პირები ხომ ამისთვის ვართ, რომ ერში ვაღვიძებდეთ ძალას, იმ სულიერ განცდას, რასაც ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ჰქვია. ქართველობა და სარწმუნოება ისე იყო ოდითგანვე შესისხლხორცებული, რომ, თუ ქართველი სარწმუნოებას იცვლიდა, მას ქართველს აღარ ეძახდნენ. თუ ეს არ გავითავისეთ, ჩვენზე დიდი ერები ყოფილან და ღმერთს მიუტოვებია, ასე დაგვემართება ჩვენც.

**— გამოვა ხალხი ქუჩაში ამის ნიადაგზე, რასაც სარწმუნოებასა და ენას უკეთებენ?**

– თუ აკვირდებით, რაც ახლა ხდება „ნაციონალებისგან“ და „თავისუფალი ზონისგან“, თუ რაღაც ჯანდაბისგან, ახლა რომ მოიგონეს, ასეთი ხალხი ამღვრევს წყალს. ეს ის ხალხია, სარწმუნოებრივ შუღლს რომ აღვივებს, ამათი გაკეთებულია, ვისაც სტაბილურობა არ უნდა. როდემდე იქნება ხელისუფლება ასე სირაქლემას პოზაში და როდემდე იქნება მიშვებული მოვლენები დინებას? როდის ყოფილა, ქართველი ვინმეს შევარდნოდა სახლში და თავ-პირი დაემტვრია, შენ რატომ არ გწამს ის, რაც მე მწამსო? ეს პროვოკაციები ამისკენ არის მიმართული, რომ ეკლესიას დაარტყან, რომ მერე ჩვენ არავინ დაგვიჯეროს. გარკვეული ადამიანები წყალს ამღვრევენ და სამართალდამცავები არ უნდა დაინტერესდნენ ვინ არიან?



**— სერიოზული დაძაბულობა იყო გასულ კვირას, „თავისუფალი ზონის“ წინააღმდეგ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდა გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, მასობრივ არეულობებში გადაინაცვლებს ეს პროცესები?**

– მე სასულიერო პირი ვარ და ხშირად ვიბარებდი აღსარებას იმ ადამიანებისგან, ვინც უკანონოდ ისხდნენ ციხეში. მათ დაელაპარაკონ ხელისუფლების წარმომადგენლები და მერე თუ დარჩებათ იმის განცდა, რომ სამართლიანობის არაღდგენა შერჩებათ, ძალიან ცდებიან. დანაშაულებრივია ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს, მე ვხედავ, რომ ესენი დავალებებს ასრულებენ, თორემ ევროსაბჭოს ვინ ეკითხება, რომ იმოძღვრება ხალხის საწინააღმდეგოდ? მე შევხვდი ერთ ადამიანს ციხეში, ლიმონათი მოიპარა და 2 წელი იჯდა, ამ დროს კი მილიონები მოიპარეს და თურმე, ხელი არ უნდა ვახლოთ. ეს როგორ შეიძლება? აი, რას გვსაყვედურობენ ევროპელები... ბოლო დროინდელი დაძაბულობა კი იმის შედეგია, ხალხს ყელში ამოუვიდა, მათ თუ არ ეყოთ გონიერება და ასე გაგრძელდა, დიდი მღელვარება დაიწყება. მოსამართლემ კიდევ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, იმდენი კრედიტები აქვთ გამოტანილი... რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებს, კრედიტებს გადახდა არ უნდა? ფული მართავს დღეს ხელისუფლებას. აქამდე რომ ეროვნულად ჩანდნენ, იგივე გუბაზ სანიკიძე და ზვიად ძიძიგური, ახლა სად არიან, პირში წყალი რომ ჩაიგუბეს. „ნაციონალებმა“ ვერ მოასწრეს ამ კანონების მიღება და ესენი რომ ოპოზიციაში ყოფილიყვნენ, არ იყვირებდნენ? ახლა ხმას არ იღებენ. „ნაციონალებიც“ კმაყოფილები არიან. როცა „ნაციონალი“ კმაყოფილია, ხომ უნდა მიხვდე, რომ არასწორად იქცევი და მის წისქვილზე ასხამ წყალს?

**— რას ელოდებით „ნაციონალური მოძრაობისგან“? თუ საშიშ ფორმას მიიღებს ეს დაძაბულობა, რას იზამს ეკლესია?**

– თუ ხელისუფლებამ არ მიიღო ზომები ამ დესტრუქციული ძალის წინააღმდეგ, ხალხი გასცემს მათ პასუხს. ადამიანის ცემა რომ გაგიხარდება, წარმოგიდგენიათ? ღმერთმა შემინდოს და მე მიხარია, ხელისუფლებას რომ მიესაჯა მათთვის, არ მოხდებოდა ასეთი რამ. ახლა ხალხი დახვდება მათ ქუჩაში და ამ ნაძირალებს თავებს დაუხეთქავს. რომ იძახის პრემიერი, ჭიკაიძე გაიზარდაო, ვნახოთ, როგორ გაიზარდა, გაართვას თავი. ხელისუფლების გასაკეთებელს ხალხი არ უნდა აკეთებდეს. ვინც სიტუაციას ძაბავს ქვეყანაში, ეს არის აღვირახსნილი სექტა, რომელიც ცოცხებსა და მიშაზე ლოცულობს, ამ უგუნურებს, ერთუჯრედიანებს რა უნდა ელაპარაკო? თუ ზომებს არ მიიღებენ, უარესები მოხდება.

**„თუ ეს მოთხოვნა მოდის ევროპიდან, კი არ გადაახტება, ჩათვალეთ, რომ გადამხტარია უკვე. წინ ვინ დაუდგება. რახან მოითხოვა მამა-მარჩენალმა ევროპამ, უნდა მიიღონ ეს კანონი, თორემ დაემუქრებიან, იცოდეთ, „ნაციონალებს“ დავაბრუნებთ სათავეშიო. ამათ კი ეშინიათ, რომ მუქარა თუ ასრულდა, „ნაციონალები“ ამათ შავ დღეში ჩაყრიან“**

**„აქამდე რომ ეროვნულად ჩანდნენ, იგივე გუბაზ სანიკიძე და ზვიად ძიძიგური, ახლა სად არიან, პირში წყალი რომ ჩაიგუბეს. „ნაციონალებმა“ ვერ მოასწრეს ამ კანონების მიღება და ესენი რომ ოპოზიციაში ყოფილიყვნენ, არ იყვირებდნენ? ახლა ხმას არ იღებენ. „ნაციონალებიც“ კმაყოფილები არიან. როცა „ნაციონალი“ კმაყოფილია, ხომ უნდა მიხვდე, რომ არასწორად იქცევი და მის წისქვილზე ასხამ წყალს?“**

**„როდემდე იქნება ხელისუფლება ასე სირაქლემას პოზაში და როდემდე იქნება მიშვებული მოვლენები დინებას? როდის ყოფილა, ქართველი ვინმეს შევარდნოდა სახლში და თავ-პირი დაემტვრია, შენ რატომ არ გწამს ის, რაც მე მწამსო? ეს პროვოკაციები ამისკენ არის მიმართული, რომ ეკლესიას დაარტყან, რომ მერე ჩვენ არავინ დაგვიჯეროს. გარკვეული ადამიანები წყალს ამღვრევენ და სამართალდამცავები არ უნდა დაინტერესდნენ, ვინ არიან?“**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთს შესაძლოა, ევროსაბჭოს წევრობის უფლება შეუჩერონ



რუსეთის ფედერაციას 2015 წლის ნოემბერში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შესაძლოა წევრობის უფლება შეუჩეროს. ამის შესახებ ასამბლეის თავმჯდომარე ან ბრასერმა „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურთან ინტერვიუს დროს განაცხადა.

ბრასერის განცხადებით:

„სრულებით შესაძლებელია, რომ სესიაზე რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილებები გასაჩივრდეს. მე ვერ განვჭვრეტ მომავალს, მაგრამ ვფიქრობ, თუ იანვრამდე ვითარება პოზიტიურისკენ არ შეიცვალა, არსებობს დიდი ალბათობა, რომ რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში არათუ აღდგება, არამედ პირიქით, გამოითქმება აზრი, რომ ასამბლეას არ სურს რუსეთის დელეგაციასთან მუშაობა“, – განაცხადა ბრასერმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ჭიდაობის ფედერაციასთან სპორტსმენებმა კურტანიძის გადადგომა კიდევ ერთხელ მოითხოვეს



ჭიდაობის ფედერაციასთან სპორტსმენები შეიკრიბნენ და ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის გადადგომა მოითხოვს.

ფალავანთა კლუბში ეროვნული ნაკრების ახლად დანიშნული მწვრთნელი, ნუგზარ სხიერელი მივიდა, თუმცა არც ერთი მოჭიდავე ვარჯიშზე არ დახვდა.

„სანამ სიტუაცია არ დალაგდება და თავად ნაკრების მწვრთნელები არ განაცხადებენ თანხმობას, რომ მათთან ვიმუშაო, მე დარბაზში ვერ შევალ, თუმცა მგონია, რომ ნაკრების წევრებისგან არ ვიმსახურებ ასეთ წინააღმდეგობას“, – განაცხადა ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რეგიონული ენების დაკანონების წინააღმდეგ ოპოზიცია გაერთიანდება

**საქართველოსთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რევოლუციაში, ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ „განახორციელოს რატიფიკაცია შემდგომი დაყოვნების გარეშე რეგიონალური და უმცირესობების ენების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ევროპის ქარტიას, და რისი ვალდებულებაც საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აიღო“.**

**რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება? ხომ არ მიიღებენ ამ კანონსაც ანტიდისკრიმინაციულის მსგავსად, ხალხის ნებისა და აზრის გათვალისწინების გარეშე?**

**„ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია ესაუბრა:**

**— ქალბატონო ეკა, ევროსაბჭოს რეზოლუციაში წერია, რომ უნდა დაჩქარდეს რეგიონული ენებისთვის სტატუსის მინიჭების საკითხი. რას ფიქრობს ამაზე უმრავლესობა?**

– საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას მოჰყვა იმთავითვე გარკვეული ვალდებულებები, რომელიც აიღო იმდროინდელმა ხელისუფლებამ და ეს, როგორც ვალი, მოგვყვება დღემდე. მათ შორისაა რეგიონალური ენების ქარტია, რომლის მიღებასაც ევროპის საბჭო პერიოდულად გვახსენებს. ამ თემაზე რამდენჯერმე იყო ჩამოსული უმცირესობების საკითხებში გაეროს კომისარი, იყო დისკუსიებიც. არსი არის ის, რომ საჭიროა, პირველ რიგში, საზოგადოების ინფორმირება, რა არის ეს ქარტია, რა შინაარსი დევს მასში და რა შედეგების მომტანია. ყველა ქვეყანას აქვს თავისი სპეციფიკა, ისტორია, კულტურა და ტრადიცია. საქართველო ამ მხრივ გამორჩეულია და განსაკუთრებული.

სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების პროცესი ახლა დაიწყო საქართველოს პარლამენტში და მიმაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის შესახებ კანონის იმგვარად მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენის სტატუსის სახელმწიფოებრივ რანგს, განსაზღვრავს მას და მისი დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნას მოახერხებს, ენის, ისტორიული, კულტურული თავისებურებების სრულყოფილად წარმოჩენას და მისი დაცვის ბაზის ჩამოყალიბებას შეძლებს.

**— როგორც მითხრეს, თუკი რეგიონული ენების სტატუსს დავაკანონებთ, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქმის წარმოება იქნება სომხურად და აზერბაიჯანულად.**

– ასე არ არის, საქართველოს კანონი ენის შესახებ კონსტიტუციით დაცული უფლება-მოვალეობების ამსახველი იქნება და საქმის წარმოება საქართველოში იქნება სახელმწიფო, ანუ ქართულ ენაზე. უმცირესობებმა რასაკვირველია, ენა უნდა ისწავლონ და ამაში სახელმწიფო მათ უნდა დაეხმაროს. სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია.

**— თუკი აღმოჩნდა, რომ რეგიონული ენების დაკანონება სეპარატიზმს გააღვივებს და ქვეყნის ერთიანობას საფრთხეს შეუქმნის, კანონს მაინც მიიღებთ, მოსალოდნელი სანქციების შიშით?**

– ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს იმ ტიპის სამდურავებს, რომელიც მერე ჩნდება ანგარიშებში და ბუნებრივია, ეს სასიამოვნო არაა. არ უნდა დავინახოთ ისე, რომ რეგიონალური ენების ქარტია მტერია ჩვენი. კანონპროექტი, რომელსაც ახლა ვამუშავებთ სახელმწიფო ენის შესახებ, სწორედ ის აუცილებლობაა, რომელიც ჩვენა ქვეყანას ძალიან სჭირდება. ამ პროექტში, რასაკვირველია, უმცირესობების უფლებებიც იქნება გათვალისწინებული. საქართველოს სიმდიდრე და განსაკუთრებულობა არის მის მრავალფეროვნებაშიც.

**— ქარტია ჩვენი მტერი არ არისო. რა წერია ქარტიაში, რა მოთხოვნებია?**

– ძალიან ბევრი ნიუანსია და ერთმნიშვნელოვნად თქმა ძნელია, გასააზრებელია ბევრი რამე ხალხთან ერთად, მაგრამ თუ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას რამე საფრთხე დაემუქრება, ცხადია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ. ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ, ამ პრიზმაში უნდა იყოს დანახული.

**— ისე, არ მოხდება, როგორც ანტიდისკრიმინაციულის დროს მოხდა? პროტესტის მიუხედავად მაინც დააკანონეთ...**

– ხალხს ყველაფერი უნდა ავუხსნათ და დაველაპარაკოთ, რაზეა საუბარი, მაგრამ მანამდე ბევრი ნიუანსია გასარკვევი. დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე კანონი იმ სახით რა სახითაც ის დარჩა, არანაირად არ ქმნის პრობლემას, პირიქით ყველა პოზიტიურ ჩამონათვალში ხვდება, კანონს უნდა კარგად გაანალიზება და არსობრივად გაცნობა. იმ შემთხვევაში უბრალოდ დრო არ აღმოჩნდა საკმარისი. რაც სამწუხაროა, მაგრამ ამ ვითარებაში საჭიროა კარგად და მართებულად ახსნა და წაკითხვა, რა წერია ქარტიაში და ის სტერეოტიპები, რაც წინასწარ შეიქმნა, გამოჩნდება, რომ მიზანმიმართულად ხდება. მე ვფიქრობ, რომ არ უნდა ვიჩქაროთ და მოსახლეობისთვის გასაგები უნდა იყოს, რაზეა საუბარი.



**— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე საინიციატივო ჯგუფებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რომ შეგეჩერებინათ განხილვა, მაგრამ პარლამენტმა მაინც მიიღო. ახლა რამდენი ხელმოწერა იქნება საჭირო, რომ ეს კანონი პარლამენტმა არ მიიღოს და მოსახლეობის მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს?**

– არ ვიცი, ყველას სახელით ვერ ვისაუბრებ. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ წინასწარ ნეგატიური ფონის შექმნა არასწორია და შეცდომაში შემყვანია, ჯერ საკითხი უნდა ავწონდავწონოთ, გავიაზროთ. ახლა კი სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტს, რომელზეც დაიწყო პარლამენტმა მუშაობა, მეტი ყურადღება მივაქციოთ და მეტი დაცულობა შევქმნათ.

**რას აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია, თუკი პარლამენტმა რეგიონული ენების სტატუსის კანონის შემოღება გადაწყვიტა?**

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“:**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნატო-ს ხელმძღვანელის განცხადებები რადიკალურად განსხვავდება წინამორბედისგან“



ნატო-ს ახალი გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის შეფასებით, ნატო საკუთარ ჯარებს იქ განათავსებს, სადაც მოუნდება. აღმოსავლეთის ქვეყნებს კი რუსეთის არ უნდა ეშინოდეთ, რადგან ალიანსი მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით, მსგავსი განცხადებები რადიკალურად განსხვავდება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წინამორბედი ხელმძღვანელობის განცხადებებისგან.

„მისასალმებელია ეს განცხადება, იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში ნატო, ისევე როგორც ნებისმიერი დასავლური სტრუქტურა, ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა. მხოლოდ ვერბალურ დონეზე რუსეთს ვერ შეაშინებ. იმ სანქცირებისაც არ ეშინია რასაც მის წინააღმდეგ ამოქმედებენ, ხვდება, რომ ეს სანქციები ორლესული მახვილივით არის, მას თუ ურტყამს, ურტყამს იმ ქვეყნებსაც, რომლებმაც ისინი შემოიღეს.

ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ტიპის განცხადება არის რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ისმოდა და რა თქმა უნდა არის იმედის მომცემი. ერთია მაპ-ი, რომელიც თავისთავად არაფრის გარანტი არ არის და მეორეა, ნატო-ს ჯარების განლაგების თემა, რომელიც საქართველოს არ ეხება, მაგრამ ის, რომ ნატო შეიძლება ფსიქოლოგიურად გათავისუფლდეს რუსეთის წნეხისგან, ჩვენთვის არის ძალიან დიდი შეღავათის მომცემი“, – განაცხადა ლაგაზიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ეუთო-ს წლიური სესია 2016 წელს საქართველოში გაიმართება




ჟენევაში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიაზე გადაწყდა, რომ 2016 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წლიური სესია საქართველოში გაიმართება.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტ, პარლამენტარ გიგი წერეთლის თქმით:

„ჟენევაში მიმდინარეობს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესია, რომელიც საკითხების ფართო სპექტრს განიხილავს, მათ შორის ევროპის უსაფრთხოების საკითხებს, ასევე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და სხვა. სესიაზე გამართულ დებატებში, რომელშიც საქართველოს დელეგაციამ საკმაოდ აქტიური მონაწილეობა მიიღო. საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე განიხილებოდა ასევე ეუთოს მომავალი სხდომების საორგანიზაციო საკითხებიც. სწორედ ამ საკითხების განხილვისას გადაწყდა, რომ 2016 წელს, ეუთოს ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება – წლიური სესია საქართველოში გაიმართება“. – აღნიშნა წერეთელმა.

მისი თქმით, წლიური სესიის ჩატარების ადგილთან დაკავშირებით იყო საქართველოსა და გერმანიის კანდიდატურა, მაგრამ საბოლოოდ საქართველოს კანდიდატურამ გაიმარჯვა.

„ჩვენმა დელეგაციამ უკეთ დაასაბუთა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა, სხდომა საქართველოში გამართულიყო. გამომდინარე რეგიონში არსებული ვითარებიდან, რომ ჩვენი ქვეყანა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი და მიისწრაფვის ევროინტეგრაციისკენ, ეუთოს ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ სესია სწორედ ჩვენს ქვეყანაში გამართულიყო. გათვალისწინებული იყო ის ფაქტიც, რომ საქართველოს მეტი თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება, მის წინაშეა ძალიან ბევრი გამოწვევა საგარეო და შიდაპოლიტიკური, დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით“. – აცხადებს წერეთელი. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

– კატეგორიულად დაუშვებელია, ამის დასტური არის უკრაინა. ბევრი დასკვნა გვაქვს წინ. ეს ავტომატურად ნიშნავს ქვეყნის დაშლას, ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა, ვინც ამას მხარს დაუჭერს, არის მოღალატე. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ევროსაბჭოსა და დასავლეთის ასეთი ინიციატივები მიმართულია ქვეყნის დაშლისაკენ. ენის მოჩლექით ვერავის ვერ დავუწყებთ ლაპარაკს.

**— ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, ამ კანონის მიღებაც თუ გადაწყდა, რას აპირებთ?**

– არ ვიჩქარებდი დასკვნის გამოტანას, რომ ამ კანონს მიიღებენ, რადგან წინა კანონის დროს ჯერ კიდევ ჰქონდათ რესურსი ნდობის, ახლა კი ეს ნდობა გამწყდარია. მიმაჩნია, რომ ეს კანონი არის მოღალატეობრივი. რა ხდება უკრაინაში? რეგიონალური ნიშნით მიმდინარეობს დისკუსია და მიდის დაშლის პროცესი. ჩვენ შეგვიძლია სხვა პარტიებთან თანამშრომლობით, ყველანაირი წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ კანონის მიღებას. ამ კანონთან ერთად მოხდება ყველა მისი ლობისტის გამოაშკარავება.



**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტები“:**

– ვინც პრობლემას ვერ ხედავს, ან ბრმა არის, ან კეკლუცობს ვილაცების გასახარად. აუცილებლად მოჰყვება ამას რამდენიმე რეგიონში, განსაკუთრებით ორ რეგიონში სახელმწიფო ენად გამოცხადება. შესაბამისად ადმინისტრაციული საქმის წარმოებაც მოხდება ამ ენებზე. აქედან ერთი ნაბიჯია ავტონომიის გამოცხადებამდე, რადგან თუ შენ აღიარებ მათ უფლებებს, მეორე მოთხოვნა იქნება ავტონომიის გამოცხადება. დაიწყება დეზინტეგრაციის პროცესი. სწორედ ასე იწყებოდა პროცესები აფხაზეთშიც, ჯერ უნივერსიტეტის მოთხოვნა, მერე - ენა, მერე მოჰყვა ამას სხვა პროცესები. ეს არის საქართველოს დანაწევრების გეგმა, რომელსაც მოჰყვება სხვა რეგიონებში სეპარატისტულად განწყობილი პროვოკატორების ამოძრავება, მეგრული და სვანური ენების გამოცხადებაზეც მიდგება საქმე. ყველაფერი კი საქართველოს დაშლისკენაა მიმართული. თუ ამას ვერ გააცნობიერებენ, მათი მოღალატეობრივი პოზიცია მალე გახდება ნათელი.

**— კი მაგრამ, თუ ევროპისკენ მივდივართ, მის მოთხოვნებს როგორ ავუაროთ გვერდი?**

– ეს არ არის მკაცრი მოთხოვნა, დიდი ხანია, რაც ევროსაბჭოს წევრები გავხდით, ამაზეა საუბარი ისევე, როგორც თურქი მესხების ჩამოსახლებაზე. ეს მუდმივად იწელება და მის შესრულებას შემჭიდროებულ ვადებში არავინ ითხოვს. სანქციები არ არსებობს ამასთან მიმართებაში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, მიუხედავად ვალდებულებისა, არ შეუსრულებია ეს და მაინც არავის შეუფერხებია მათი ევროკავშირში ყოფნა. თუ მოთხოვნა საფრთხეს უქმნის შენს ტერიტორიულ ერთიანობას, სახელმწიფოებრივ ინტერესს, უნდა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შედის შენი ქვეყნის ინტერესებში და არა ის, რასაც გკარნახობენ საერთო დებულებებიდან. ამათ უნდათ, გარკვეულ ძალებს კოჭი გაუგორონ, ნაკლები იყოს სანქციები და ამიტომ ეცდებიან კანონის მიღებას. ხელისუფლებამ გაბედა და მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, ახლა მიიღებენ ამასაც. ეს არის უგვანო პოზირება ხელისუფლებისა, ამით აპირებენ ევროკავშირის წევრობას? ეს ეროვნული საკითხია, ამიტომ ჯერ არ უნდა დავუშვათ, რომ მისი მიღება გაბედონ და თუ გაბედავენ, ჯოხებით გამოვრეკოთ პარლამენტიდან ეს დეპუტატები. უნდა შედგეს საერთო ეროვნული ფრონტი, რომელიც გაუწევს მათ წინააღმდეგობას. ეს არ არის მემარცხენე-მემარჯვენეობის საკითხი, ეს საფრთხე არის ჩვენი სახელმწიფოს მიმართ.



**ალეკო შალამბერიძე, „თავისუფალი საქართველო“:**

– ეს საკითხი მტკივნეულია, იცით, რა მდგომარეობაა, როცა გვაქვს აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემა. ამ დროს რეგიონული ენების შემოტანა იქნება დიდი პრობლემა, გაჩნდება ჯავახეთის პრობლემა. დღეს, როცა უკრაინაში ასეთი კონფლიქტია და ვიცით, რაც არის რუსეთის მოთხოვნა, ასეთ სიტუაციაში რეგიონული ენების შემოტანა დაშლის ტოლფასია. რაც მოხდა ევროსაბჭოში, ეს არის სამარცხვინო. მთელი ევროსაბჭო უყურებს ორი დაპირისპირებული მხარის კინკლაობას. ამიტომ წამოვიდა შეუსრულებელი ვალდებულებების გახსენება. მოვუწოდებ ხელისუფლებას, შეწყდეს კინკლაობა პრეზიდენტსა და პრემიერს შორის და ყურადღება გადაიტანონ ასეთი პრობლემების მოგვარებაზე.

**— თუ კანონის მიღება მაინც გადაწყვიტეს, რას იზამთ?**

– ჩვენ გვქონდა მცდელობა და წარმატებით გავართვით თავი, როცა თვითმმართველობის კოდექსისას შემოდიოდა რეგიონალიზმის საკითხი. მაშინ ჩვენი გაერთიანება მოხდა, ამას დაემატა პატრიარქის განცხადება, რომელმაც სწორად დაინახა საფრთხეები. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზეც ვიმოქმედებთ ერთიანად. ახლა წამოიჭრა ისევ რეგიონული ენების საკითხი, ყველა ხერხი უნდა გამოვიყენოთ, მოვიფიქრებთ ახალ სტრატეგიას, მალე ჩამოვყალიბდებით ამ გეგმაზე, რადგან საფრთხე რეალურია.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქრთამის აღების ფაქტზე 2 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, დაკავებული არიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები ჭალესა და ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულებში, როინ მანია და გოდერძი კვარაცხელია.

გამოძიებით დადგენილია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჭალესა და ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლებმა რომან მანიამ და გოდერძი კვარაცხელიამ, მოქალაქეს ყალბი ცნობების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით გამოართვეს 850 ლარი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით და 341-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

## სასამართლომ ახალაიას საქმეზე ევროსაბჭოს რეზოლუცია მტკიცებულებად არ მიიღო




საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ევროსაბჭოს რეზოლუცია მტკიცებულებად არ მიიღო. დაცვის მხარის ადვოკატები ითხოვდნენ აღნიშნული რეზოლუციის მტკიცებულებად დართვას, პროკურატურა კი ამის წინააღმდეგი იყო. პროკურორის თქმით, რეზოლუცია სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და ფაქტების შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს.

„ბაჩანა ახალაიამ სასამართლო პროცესზე იცრუა. ის მეტყველებდა ერთს, მაგრამ მტკიცებულებები სხვა რამეზე მიუთითებს“, – აღნიშნა პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა.

მოსამართლის თქმით კი, ევროსაბჭო პოლიტიკური ორგანოა და ვერ ხედავს საქმეზე რეზოლუციის დართვის საფუძველს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მილიონ ლარზე ნაკლები არც ერთი პროექტი არ დაჯდება“



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო მართვაში მაქსიმალური ჩართულობა უნდა იყოს გამოვლენილი.

„თუ ჩვენ გვინდა, ვიამაყოთ ჩვენი ქვეყნის წარმატებით, მაქსიმალური ჩართულობა და მონაწილეობა უნდა გამოვიჩინოთ სახელმწიფოს მართვაში“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

6 ოქტომბერს ორგანიზაცია „მოქალაქემ“ ორ პროექტი წარადგინა: „სტუდენტები მმართველობისთვის“ და „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა“. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ეს ორი პროექტი ეხება საზოგადოების ყველაზე საინტერესო ნაწილს, რათა ისინი გააქტიურდნენ.

რაც შეეხება აღნიშნული პროექტების ღირებულებას, როგორც მან თქვა, მილიონ ლარზე ნაკლები არც ერთი პროექტი არ დაჯდება, თუმცა თანხა მოგვიანებით დაზუსტდება. (ნიუპოსტი)

## მეტრო „ვაგზლის მოედანზე“ მელია დაიჭირეს



მეტროსადგურ „ვაგზლის მოედანზე“ მელია დაიჭირეს, რომელიც საპატრულო პოლიციამ თბილისის ცხოველთა თავშესაფარს გადასცა.

მელიას ანტირაბიული ვაქცინაციაც ჩაუტარდა. ლაბორატორიული კვლევის თანახმად მელია სრულიად ჯანმრთელია.

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი მელიას დიდხანს ვერ გააჩერებენ, ცხოველს გარემოს დაცვის სამინისტროს გადასცემენ.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოხვდა ცხოველი მეტროში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოკლული ლაშა მახარაძის მეგობარი თენგო ერისთავი გათავისუფლებულია



თენგიზ ერისთავს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული წინასწარი პატიმრობა გირაოთი შეეცვალა. არსებული ინფორმაციით, გირაოს რაოდენობა 10 000 ლარს შეადგენს. სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით დაცვის მხარემ მიმართა, რაც სასამართლომ დასაშვებად ცნო და რასაც ბრალდების მხარეც დაეთანხმა.

ერისთავი 17 სექტემბერს სამართალდამცავებმა დააკავეს. მის დაკავებას ოჯახის წევრებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის აღშფოთება მოჰყვა. ერისთავს ბრალად ედება განსაკუთრებით დიდ ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვა. ერისთავი დანაშაულს არ აღიარებს, მისი თქმით, სამართალდამცავებმა მას ნარკოტიკი ჩაუდეს. (ნიუპოსტი)

## ზუგდიდის რაიონში ყაჩაღობა მოხდა




ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაცატუში ერთ-ერთ ოჯახს რამდენიმე პირი დაესხა თავს. ოჯახის უფროსის განცხადებით, თავდამსხმელებმა ის და მისი მეუღლე სცემეს, რის შემდეგაც 200 ლარი წაიღეს.

დიასახლისის დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ მისი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 179-ე მუხლით დაიწყო, ყაჩაღური ჯგუფის დასაკავებლად სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

## მთავრობის ადმინისტრაციას საერთაშორისო ექსპერტი უწევს კონსულტაციას



მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, ადმინისტრაციაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, რომელიც ღია და საჯარო მმართველობის ევროპულ მოდელს ეფუძნება, საქართველოში მაღალი დონის საერთაშორისო ექსპერტი ედ მელკერტი იმყოფება.

რეფორმა, სამთავრობო სტრუქტურებს შორის მეტი კოორდინაციისა და მმართველობის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, მნიშვნელოვან სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ცვლილებებს გულისხმობს. მელკერტი ადმინისტრაციას კონსულტაციას უწევს საგარეო დახმარების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო პრიორიტეტებთან შესაბამისობისა და პროგრამების განხორციელების ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ედ მელკერტი არის ჰოლანდიის სოციალურ საკითხთა და დასაქმების ყოფილი მინისტრი; სხვადასხვა დროს ის იყო მსოფლიო ბანკის ჯგუფის საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, გაეროს განვითარების პროგრამის ასოცირებული ადმინისტრატორი და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ერაყში. მას აქვს დიდი გამოცდილება დასაქმებისა და უმუშევრობის შემცირების ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, საჯარო და ბიზნესსექტორებს შორის კავშირის გაძლიერებასა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობაში, მას, აგრეთვე, შეუძლია, საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს მთავრობას, მმართველობისა და საჯარო ადმინისტრაციის სტანდარტების ამაღლების მიმართულებით. (kvira.ge)

## რუსთაველზე ტაქსის მძღოლს თანხა გამოსძალეს

5 ოქტომბერს, გვიან ღამით, რუსთაველის გამზირზე ორმა ახალგაზრდამ იარაღის მუქარით ტაქსის მძღოლს თანხა გამოსძალა.

შსს-ს განცხადებით, ყაჩაღობის ბრალდებით სამართალდამცველებმა დამნაშავეები უკვე დააკავეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლით აღიძრა, რაც ყაჩაღობას გულისხმობს და თავისუფლების 5-დან 7 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის ვიცე-მერი, სახელფასო დანამატის სახით, ყოველთვიურად 3540 ლარს იღებს



თბილისის მერის დავით ნარმანიას 2014 წლის 1-ლი სექტემბრის ბრძანებით, ყოველთვიურ სახელფასო დანამატს მერიისა და მისი სამსახურების ჯამში 70-მდე თანამდებობის პირი იღებს.

თბილისის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი ყოველთვიურად ხელფასის დანამატად 3 540 ლარს იღებს, ნარმანიას სხვა ოთხი მოადგილე კი – 3360 ლარს.

სახელფასო დანამატებს თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილეები, მერისა და მისი მოადგილეების აპარატის უფროსები, 11 საქალაქო სამსახურის უფროსი, მათი მოადგილეები, ათი რაიონის გამგებელი და მათი მოადგილეები იღებენ. თბილისის მერის ბრძანებით, სახელფასო დანამატი ხელფასების პროპორციულია და, ჯამში, 26 თანამდებობაზე ვრცელდება.

თბილისის მერიაში ახალმა გუნდმა მუშაობა 2014 წლის 2 აგვისტოს დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც მინისტრებისა და მათი მოადგილეების პრემიების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კრიტიკა მოჰყვა, საქართველოს მთავრობამ პრემიის გაცემის სპეციალური წესი შეიმუშავა. ცვლილებები არ შეხებია სახელფასო დანამატებს. (news.ge)

## ძველი თბილისის რეაბილიტაციის მონიტორინგის ხელმძღვანელობა ელისაშვილს შესთავაზეს



ძველი თბილისის რეაბილიტაციის მონიტორინგის მიზნით, თბილისის საკრებულოში სამუშაო ჯგუფი შეიქმნება. აღნიშნული ინიციატივა, საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ გოჩა ბაბუნაშვილმა თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელთან შეხვედრისას წამოაყენა. საკრებულოს ცნობით, ბაბუნაშვილმა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს შესთავაზა. ჯგუფში ასევე ჩართულები იქნებიან საკრებულოს სხვა დეპუტატები.

„ძველ თბილისთან დაკავშირებით გავაკეთებთ მონახაზს და უკვე კონკრეტულ ნაბიჯებზე გადავალთ, რაც სამომავლოდ უფრო ეფექტიანს გახდის ისტორიული უბნების იერსახეს“, – აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ.

ელისაშვილმა, სამუშაო ჯგუფის შექმნა დადებითად შეაფასა და აღნიშნა:

„ძალიან ცოტას ვსაუბრობთ იმაზე, თუ რა ფუნქცია, ხედვა და მისია უნდა ჰქონდეს ფონდს. საკმარისია წარსულზე ლაპარაკი, უნდა დავსახოთ სტრატეგია და მასშტაბურად დავგეგმოთ ძველი თბილისის პრობლემების გადაჭრა. გუდიაშვილის მოედანი არის გამოწვევა ყველასთვის, რათა სიძველეების შენარჩუნებით მიმზიდველი გავხადოთ ბიზნესისთვის ძველი ქალაქი და ამისთვის უნდა შევქმნათ საპილოტე მოდელი“. – განაცხადა ელისაშვილმა. (news.ge)



## კახიშვილის სასჯელაღსრულების მინისტრად დანიშვნას არ ადასტურებენ

გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად „არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახი კახიშვილი ინიშნება, სამინისტროში არ ადასტურებენ.

კახიშვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, მას ტელეფონი გამორთული აქვს. (news.ge)

## ლევან ჯავახიშვილმა „ტელეიმედი“ დატოვა

ჟურნალისტმა ლევან ჯავახიშვილმა ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა და ახლად დაფუძნებულ ტელეკომპანია TVS-ის საინფორმაციო გამოშვების წამყვანი იქნება.

ჯავახიშვილის თქმით, ჯერჯერობით არ იცის, როდიდან გავა TVS-ის ეთერით საინფორმაციო გამოშვება, თუმცა არხის ხელმძღვანელობისგან წამყვანობის შეთავაზება უკვე მიიღო.

ამავე არხზე ტოქშოუ „თავისუფალი სექტორის“ წამყვანი იქნება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილი წევრი, ჟურნალისტი მაგდა ანიკაშვილი. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის მერიაში მოქალაქეთა მორიგი მიღება გაიმართა




თბილისის მერს, მერის მოადგილეებს, საქალაქო სამსახურის უფროსებსა და რაიონის გამგებლებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, 593 თბილისელი შეხვდა. აქედან, რაიონის გამგებლებმა 368 მოქალაქეს, მერიაში კი 225 თბილისელს მოუსმინეს. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ პირადად 25 მოქალაქე მიიღო.

სულ, 11 აგვისტოდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, თბილისის მერმა, მერის მოადგილეებმა, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებმა და რაიონების გამგებლებმა 5 542 ადამიანი მიიღეს. აქედან, დედაქალაქის მერი 265 მოქალაქეს შეხვდა.

თბილისის მერის დავით ნარმანიას ინიციატივით, მოქალაქეთა მიღება ყოველ ორშაბათს 14-დან 18 საათამდე მიმდინარეობს. მიღების წესის თანახმად, თბილისელებს შესაძლებლობა აქვთ, დედაქალაქის მთავრობის წევრებს შეხვდნენ და მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხები პირადად გააცნონ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოკლული ახალგაზრდის ოჯახი ყველა დამნაშავის დასჯას ითხოვს



საგარეჯოს რაიონის სოფელ კაზლარში მოკლული ულფუკარ კ.-ს ოჯახი მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახის სხვა წევრების დაკავებასაც ითხოვს. გარდაცვლილის ბიძა ამბობს, რომ მსხვერპლს არა მხოლოდ დაკავებული, არამედ მისი მეუღლე და ორი შვილი ურტყამდა.

„ერთი წელი უყვარდათ ერთმანეთი, ულფუკარმა გოგონასგან ღამე მესიჯი მიიღო – მამაჩემი სახლში არ არის და წამიყვანეო. ისინი მანქანით აპირებდნენ გაპარვას, როდესაც მოულოდნელად გოგოს მამა მივიდა. მან მანქანის შუშები ნაჯახით ჩაამტვრია, ბიჭს ხელ-ფეხი შეუკრა და სახლში შეათრია. სახლში კი მას გოგოს მამასთან ერთად მისი ცოლი და ორი ბიჭი ღამის 12-დან დილის 5 საათამდე ურტყამდნენ. უკვე გარდაცვლილის ცხედარს კი სიგარეტის ნამწვს აქრობდნენ“, – აცხადებს გარდაცვლილის ბიძა.

მისივე თქმით, დაკავებულია მხოლოდ გოგოს მამა, ახლობლები კი დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დაკავებასაც ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ლინჩის წესით გასამართლებას გეგმავენ. მკვლელობაში ბრალდებულის სახლს ამჟამად პოლიცია იცავს.

გარდაცვლილი უკვე დაკრძალეს. მისი ახლობლების თქმით, დაელოდებიან გამოძიების დასრულებას, შემდეგ კი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ნოვრუზ ქ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით საგარეჯოს რაიონის სოფელ კაზლარში დააკავეს. სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ნოვრუზ ქ-მ ღამით, თავის საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას ჯოხით სცემა 1993 წელს დაბადებული ულფუკარ კ., რომელიც ფარულად შეიპარა ნოვრუზ ქ-ს საცხოვრებელ სახლში და მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის ცოლობის მიზნით მოტაცებას შეეცადა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)



## როგორ პასუხობს ნინი ბადურაშვილი რუსეთში გამგზავრების გამო მიყენებულ შეურაცხყოფას

რუსეთში გამართული თბილისობის მოწინააღმდეგეები ნინი ბადურაშვილის „ფეისბუქის“ გვერდზეც არ მალავენ თავიანთ უკმაყოფილებას.

მოგეხსენებათ, თბილისობის აღსანიშნავად ნინი, ლელა წურწუმიასთან, ნინო ჩხეიძესთან და რამდენიმე ქართულ ჯგუფთან ერთად, ორი დღის წინ გაემგზავრა.

ნინიმ ჩასვლისთანავე ბავშვობის მეგობარი ქეთა თოფურია მოინახულა და მომღერალთან ერთად გადაღებული რამდენიმე ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნინი რუსეთში იმღერებდა, ფოტოებზე შეურაცხმყოფელმა კომენტარებმა არ დააყოვნა.

კომენტარებს თანმიმდევრობით გთავაზობთ:

– მძ...რად გექცეთ რუსებისთვის სიმღერაში ნაშოვნი ფული!!!

– განა რამდენი გადაგიხადეს, რომ ქვეყანასა და მსმენელს ასე უღალატეთ, მათხოვრებო!!!

– მიუცუცქდით ისევ უძღები შვილები რუსუკებს? ეგრეა, ყველა ლანძღავს რუსს და როცა უჭირს, რუსეთში გარბის.

– წინა ხელისუფლების დროს არავინ არავის უწონებდა რუსეთისკენ გახედვასაც კი, მოღალატეებად რაცხავდნენ და აფურთხებდნენ. ახლა კი ის ხალხი, ვინც სხვას აკრიტიკებდა, იგივე ნაბიჯს დგამს.

მედროვეობაა ეგ, ბიძია, სხვა არაფერი. ყველა რუსეთს ლანძღავს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისევ რუსეში გარბიან. მაინც წარმატებები თქვენ, მაინც ყველა საცობს ერგებით და ასეც და ისეც წარმატებულებად რჩებით. ისევ თქვენი მეგობრების თვალში ოლონდ.

– წარმატებები ჩვენს მომღერლებს. არამარტო მე ძალიან ბევრი ვართ, ვისაც გვიყვარხართ და გიწონებთ ამ ნაბიჯს. ხელოვნებას საზღვრები არ აქვს.

– ძალიან კარგი! მივესალმები ასეთ კონცერტებს! როგორც შეგვიძლია, ისე უნდა ვეცადოთ ჩატეხილი ხიდის გამთელება! ცუდი მშვიდობა ბევრად უკეთესია, ვიდრე ომი, ან სად გვაქვს ომის თავი.

– ბადურ, ახლა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“, ალბათ, რუსების „სმს“-ების იმედი გაქვს, არაა? აბა, ნორმალურმა ქართველმა შენ როგორ უნდა დაგიმესიჯოს წარმოდგენა არ მაქვს. ტფუიიიიიი, ღმერთს ვითომ ცოტა რაღაც სილამაზე მოუცია და ტვინი არა“.

**reitingi.ge**

## ნინო ჩხეიძე: „წაღვერიდან მოსკოვამდე 2 საათია მანძილი და წყალტუბოდან ლონდონამდე ნამდვილად არ ვიცი“



მოღერალი ნინო ჩხეიძე „ფეისბუქზე“ ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანს პასუხობს. ნანუკას შენიშვნაზე, რომ წაღვერიდან მოსკოვამდე გზა მოკლე ყოფილა, მომღერალმა საპასუხოდ განაცხადა, რომ უფრო საინტერესოა გზა წყალტუბოდან ლონდონამდე.

შეგახსენებთ, ნინო ჩხეიძემ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, მოსკოვში თბილისობა აღნიშნა.

– ძალიან მომბეზრდით თკვენი ფსევდო პატრიოტიზმით.... საკარტველოში ყველა უსაქმური ვითომ პატრიოტი და პოლიტიკოსია... პ.ს. გუშინ კითხვა დასვეს, რამდენია მანდძილი წაღვერიდან მოსკოვამდე... წაღვერიდან მოსკოვამდე 2 საათია მანდძილი და ცკალტუბოდან ლონდონამდე ნამდვილად არ ვიცი...)))))))))

**newposts.ge**

## თეონა კონტრიძე: „ჩემი ნებაა, რუსეთი ბროდსკის ქვეყანა იქნება თუ პუტინის...“



მოსკოვში გამართული თბილისობის გამო ატეხილი პოლემიკა ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა. სოციალურ ქსელში არ ერიდებიან ერთმანეთისთვის წარსულის გახსენებას.

ატეხილ სკანდალს ეხმაურება მომღერალი თეონა კონტრიძე, რომელიც წლებია, მოსკოვში ცხოვრობს და რუსი მეუღლე ჰყავს. მისი შვილები ქართველებიც არიან და რუსებიც. გასაგებია, რომ თეონა ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც ამ ორი ქვეყნის შერიგება უნდა. თეონა სოციალურ ქსელში წერს:

– რუსეთი ზუსტად ისევე იქნა დაპყრობილი, რეპრესირებული და განადგურებული საბჭოთა არმიის მიერ, როგორც საქართველო და სხვა 13 რესპუბლიკა. დღეს მილიონობით ადამიანი მიდის რუსეთიდან და მილიონობით კიდევ არ ეთანხმება კრემლის პოლიტიკას ამიტომ მე განვაცალკევებდი რუსეთსა და კრემლს...

არსებობდა გერმანია და არსებობდა ფაშიზმი და ეს მხოლოდ ჩემი ნებაა, გერმანიას თომას მანის ქვეყანას ვუწოდებ, თუ ჰიტლერისას.... ასევე ჩემი ნებაა, რუსეთი ბროდსკის ქვეყანა იქნება თუ პუტინის...“

**reitingi.ge**

## ცოტნე გამსახურდია: „ჩვენს ყველაბოთლსმორგებულ ინწილიგენციის ნაწილს და ბომონდსაც არ მოუწევს შორს წასვლა“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია მორიგ პოსტს აქვეყნებს.

– ჩვენ არ ჩავატაროთ ერთი „მოსკოვობა“ თბილისში? დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტი ხალხი მივა, ვიდრე მოსკოვში „თბილისობაზე“ მივიდა :))))) ჩვენს ყველაბოთლსმორგებულ ინწილიგენციის ნაწილს და ბომონდსაც არ მოუწევს შორს წასვლა, – წერს გამსახურდია.

**pia.ge**

## „ერბოც“ ხომ შემოკლებით – „ეროვნული ბოზია“!!! – ლევან ღვინჯილია თინა მახარაძეს ლექსს უძღვნის



ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია მსახიობ თინა მახარაძეს ლექსს უძღვნის, რომელსაც ის „ფეისბუკში“ აქვეყნებს:

„ქალბატონო თინათინ (მოფერებით-თიკუნი)!

როგორ გშვენით გულწრფელად მორგებული თიკუნი!

მაგრამ ხშირად სახმარად თითქოს ცოტა გრძელია...

იქნებ „ერბო“ დაირქვათ – იოლად სათქმელია:

„ჩვენი ერბო ქალია“, „სცენის ანგელოზია“...

„ერბოც“ ხომ შემოკლებით – „ეროვნული ბოზია“!!! – წერს ღვინჯილია.



როგორც თინა მახარაძემ „ვანოს შოუში“ თქვა, ის „ეროვნული ბოზი და სექსის ქალღმერთია“.

**etanews.ge**

## ნოე სულაბერიძე: „ბევრად ჯობია, მოსკოვში იმღერო, ვიდრე თბილისში დააშავო!!!“



ნოე სულაბერიძე მოსკოვში ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლების ჩასვლას ეხმაურება.

– ბევრად ჯობია, მოსკოვში იმღერო, ვიდრე თბილისში დააშავო!!! მომღერალია და უნდა იმღეროს თბილისშიც, თელავშიც, თერჯოლაშიც, ევროპაშიც, მოსკოვშიც და სხვათა შორის, სოხუმშიც!!! და საერთოდ, ყველამ თავის საქმეს რო მიხედოს, ჯობია!!! არც მე მომწონს პრორუსი პოლიტიკოსები, მარა თქვენი ოჯახებიდან რუსეთში თავისი (და შეიძლება თქვენი) ოჯახების სარჩენად წასული ქართველებიც ნუ დაგავიწყდებათ, სანამ ასე მარტივად 1800 კილომეტრის მანძილიდან განიკითხავდეთ!!! – წერს სულაბერიძე.

**pia.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03




1. ღია საზაფხულო კაბა
2. შენობის ჩონჩხი
3. მხ/ფ „101 ...“
4. „პარმის სავანე“ ავტორი
5. რინიტი
6. ტბა აშშ-ში
7. ქვის სახლის მშენებელი
8. ალპური ყვავილი
9. მსახიობი რასელ ...
10. ყურძნის ჯიში
11. მსახიობი ... დურბინი
12. რეპტილია
13. კონერი ფილმში
14. ფიზიკაში ... სიცარიელე
15. ... ცეცხლს მუა
16. მხ/ფ „ჩარლის ...“
17. ნორვეგიის დედაქალაქი
18. ჩეხეთის დედაქალაქი
19. მწერალი ჟორჟ ...
20. საგანგებოდ გამოყოფილი უბანი ინდიელებისათვის
21. მწერალი ემილ ...
22. მთა აფრიკაში
23. მუსიკოსი ... გილელსი
24. ... ტერეშკოვა
25. რიცხვი: მრავლობითი და ...
26. მთათა სისტემა ...-შანი
27. ცეცხლის ენა
28. ქალის პირბადე
29. წყალსაცავი, რომელშიც მტკვარი ჩაედინება
30. შტატი აშშ-ში
31. მწვანილების შეკვრა
32. მსახიობი მერილინ ...
33. ზღვის კომბოსტო
34. სამოსი ფიგურის კორექციისათვის
35. სტადიონი რიოში
36. ძვ. ბერძენი დრამატურგი
37. მსახიობი ჟან-პოლ ...
38. ხის ჯამი
39. სასწავლო დაწესებულება
40. ჟურნალისტი ... უინფრი
41. რობინ უილიამსი ფილმში
42. ბერძ. ანბანის პირველი ასო
43. ალბანო და ... პაუერი
44. ხრახ-ნილის მოსაჭერი
45. მდინარე სამხ. ამერიკაში
46. მსახიობი ... დევისი
47. დიდი ფრანგული რევოლუციის ლიდერი მაქსიმილიან ...
48. რუსული რევოლუც. გაზეთი
49. გამოთქმით ყველა გზა ამ ქალაქში მიდის
50. მწერალი ... როდარი
51. ნოტ დოს ძველი სახელწ.
52. მსახიობი ... იოჰანსონი
53. მეფის ძალაუფლების სიმბოლო
54. ქალის სამოსი
55. სანჰიგიენური დაწესებულება
56. ცხენებშებმული ტრამვაი
57. შტატი აშშ-ში
58. მსახიობი ბენ ...
59. ჩლიქოსანი ცხოველი სავანაში
60. სპილენძის შენადნობი
61. ნაზი, ანუ ...
62. ჩანჩქერი აშშ-ში
63. მომღერალი ... ლავინი
64. ბულგარული არაყი
65. ტალანტი
66. მათემატიკის ნაწილი
67. ... პოპესკუ გოპო
68. თავადის ტიტული ინდოეთში
69. უნგრეთის დედაქალაქი
70. წერილი
71. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
72. მსახიობი ენდი ...
73. კოლხი მედეას მამა
74. მსახ. ... ამირანაშვილი
75. მსახიობი ჰოლი ...
76. შხამიანი გველი
77. ასტროლოგი მიხეილ ...
78. სახელოს მიკერების ფასონი
79. ტყუილად გარჯა, ანუ ...
80. საქმეში ჩადებული წილი
81. სიგრძის ძველებ. ერთეული
82. შენობა. 9მაისს აღმართეს დროშა
83. იაპონური თეატრი
84. პარაზიტი მკბენარი
85. მსახიობი ბარბარა ...
86. მტაცებელი თევზი
87. სია
88. ... ულენშპიგელი
89. ... რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო
90. ორი ცხოველის თანაარსებობა, როცა ერთი მეორეს სჭირდება
91. მონათა აჯანყების წინამძღოლი
92. თვითმფრინავის ბორბალი
93. ციხესიმაგრე თბილისში
94. ციტრუსი
95. კურორტი ბულგარეთში
96. კოლხა და...
97. მექსიკური არაყი
98. პირის ღრუს თაღი
99. ნიშნავს ცივს
100. ცისარტყელას ფერი
101. ერთგვარი ქუდი
102. უდაბნო აფრიკაში
103. თოვლის კაცი
104. რამაზ გიორგობიანი ფილმში
105. ჭაობის ფრინველი
106. აზროვნების ორგანო
107. „... დე ბერჟერაკი“
108. მწვერვალი კავკასიონზე
109. ხორბლის შეჭამანდი
110. ... პოტერი
111. გმირი ბერძ. მითებში
112. პატარა არხი
113. რეჟისორი პიერ-პაოლო ...
114. ბაყაყის ხმიანობა
115. ხმის იოგების ადგილი ხახაში
116. ტაბლეტი
117. თანხმობის ფორმა
118. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
119. ბოსტნეული
120. კარებში გატანილი ბურთი
121. მსახ. ... მახარაძე
122. გრძელი ჩადრი
123. ძველებური მონეტა
124. ჭენება
125. ნადუღის სანელებელი
126. მოდელი ... კემპბელი
127. სოფელი რაჭაში
128. მსახიობი ... ელენიაკი
129. ... უდუმაშვილი
130. სისხლის მიმოქცევის ორგანო
131. თაღი
132. ციური სხეული
133. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
134. ნერვიული ამღლობა
135. ყვავილი
136. ბედი
137. კამო, იგივე სიმონ ... პეტროსიანი
138. კომპოზიტორი ... ნემსაძე
139. სიმაღლის საზომი ხელსაწყო
140. ნაჭრის რბილი ქუდი
141. ბეწვი, ბალანი

პასუხები: 1. სარაფანი; 2. კარკასი; 3. დალმატინელი; 4. სტენდალი; 5. სურდო; 6. მიჩიგანი; 7. კალატოზი; 8. ედელვაისი; 9. კროუ; 10. ალადასტური; 11. დინა; 12. კუ; 13. კლდე; 14. ტორიჩელის; 15. ორ. 16. დეიდა; 17. ოსლო; 18. პრაღა; 19. სანდი; 20. გეტო; 21. ზოლა; 22. კილიმანჯარო; 23. ემილ; 24. ვალენტინა; 25. მხოლობითი; 26. ტიან; 27. ალი; 28. მანდილი; 29. მინგეჩაური; 30. აიოვა; 31. კონა; 32. მონრო; 33. ლამინარია; 34. კორსეტი; 35. მარაკანა; 36. ესქილე; 37. ბელმონდო; 38. გობი; 39. სკოლა; 40. ოპრა; 41. „ჯუმანჯი“; 42. ალფა; 43. რომინა; 44. ქანჩი; 45. ორინოკო; 46. ჯინა; 47. რობესპიერი; 48. „ისკრა“; 49. რომი; 50. ჯანი; 51. უტ; 52. სკარლეტ; 53. გვირგვინი; 54. კაბა; 55. 55. აბანო; 56. კონკა; 57. არკანზასი; 58. აფლეკი; 59. ანტილოპა; 60. თითბერი; 61. სათუთი; 62. ნიაგარა; 63. ავრილ; 64. რაკია; 65. ნიჭი; 66. ალგებრა; 67. იონ; 68. რაჯა; 69. ბუდაპეშტი; 70. ბარათი; 71. აგნი; 72. გარსია; 73. აიეტი; 74. ამირან; 75. ბერი; 76. კობრა; 77. ცაგარელი; 78. რეგლანი; 79. ამაო; 80. პაი; 81. ადლი; 82. რაიხსტაგი; 83. ნო; 84. ტკიპა; 85. ბრილსკა; 86. ზვიგენი; 87. რეესტრი; 88. ტილ; 89. მელას; 90. სიმბიოზი; 91. სპარტაკი; 93. ნარიყალა; 94. ნარინჯი; 95. ვარნა; 96. დიაოხი; 97. ტეკილა; 98. სასა; 99. კრიო; 100. იისფერი; 101. კეპი; 102. კალაჰარი; 103. იეტი; 104. სერენადა; 105. ყარყატი; 106. ტვინი; 107. სირანო; 108. იალბუზი; 109. კორკოტი; 110. ჰარი; 111. ჰერაკლე; 112. რუ; 113. პაზოლინი; 114. ყიყინი; 115. ყია; 116. აბი; 117. კი; 118. გუგუა; 119. ნიორი; 120. გოლი; 121. კოტე; 122. ფარანჯა; 123. ლივრი; 124. ჯირითი; 125. პიტნა; 126. ნაომი; 127. ირი; 128. ერიკა; 129. ზაალ; 130. გული; 131. არკა; 132. მეტეორი; 133. სან; 134. ისტერიკა; 135. ტიტა; 136. სვე; 137. ტერ; 138. ლილიკო; 139. ალტიმეტრი; 140. ბერეტი; 141. თმა. იკითხება: ფლამინგო.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




მამამ დედას უყვირა... დედამ ვაჟს უყვირა... ვაჟმა კატას უყვირა...

კატამ ღამით ყველას ჩუსტში ჩააფსა...

მორალი: უუფლებო – არ ნიშნავს უსაფრთხოს!

*****

– რა სხვაობაა თავისუფალ სექსსა და სექსს შორის, რომელშიც ფულს იხდი?

– მეორე შემთხვევა გაცილებით იაფი ჯდება ხოლმე!..

*****

– ექიმო, იცით, რაშია საქმე? – შეშფოთებული საუბრობს ახალგაზრდა მამაკაცი, – ჩემს ერთ ნაცნობს ვენერიულ დაავადებაზე აქვს ეჭვი!

– კარგით, გასაგებია, – მშვიდად პასუხობს ექიმი, – ჩაიხადეთ და მაჩვენეთ ის თქვენი ნაცნობი...

*****



საერთო საცხოვრებელში ორი სტუდენტი ლუდს სვამს. უცბად მათ ოთახში გოგო შევარდა:

– ბიჭებო, ისე ვჩქარობდი თქვენთან მოსვლას, ისე ვჩქარობდი, კინაღამ ფეხები მოვიმტვრიე!

– ჰო, მომტვრევას გადარჩენილხარ, მაგრამ გვარიანად კი დაგლუნვია!!!

*****

5 წლის ბავშვი ძილის წინ ბებიას ეკითხება:

– ბებო, ბავშვები საიდან ჩნდებიან?

– აბა, როგორ გითხრა... ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, მერე მოგიყვები...

– აუ, ბებო, გთხოვ, დასაწყისი მაინც მითხარი...

*****

სკოლიდან მოსულ ნაცემ კოტეს დედა ჭკუას არიგებს:

– რამდენჯერ გითხარი, რომ უფრო გონიერი უნდა იყო და სანამ ჩხუბს დაიწყებ, 100-მდე დაითვალო?!

– ჰო, სანამ მე 100-მდე ვითვლიდი, ვაჟამ დამიშვა და დამიშვა! მას დედამ ურჩია, სანამ ჩხუბს დაიწყებ, 50-მდე უნდა დაითვალოო!!!

*****

ღამე... საძინებელი... ქმრის გამწარებული ღრიალი:

– ქალოოო, ამ კვირაში ერთი წარბები არ გტკიებია!!!

*****

– მამიკო, ნახე, შენ დაგხატე!

– კარგია, შვილო, მაგრამ სტაფილოსფერი თმებით რატომ დამხატე?

– აბა, არ მაქვს მელოტი ფერის ფანქრები და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## პლანეტის ყველაზე უიღბლო ადამიანები



– 1899 წლის ოქტომბერში საკუთარი სახლის ეზოში ხანშიშესული მამაკაცი მეხის დაცემის შედეგად გარდაიცვალა. ზუსტად 30 წლის შემდეგ იმავე ადგილას იმავე მიზეზით სიცოცხლეს ახლა უკვე მისი ვაჟი გამოესალმა. 1949 წლის 8 ოქტომბერს კი პირველი მსხვერპლის შვილიშვილი და მეორეს შვილი ისევ ზუსტად იმავე ადგილას მეხის დაცემის შედეგად დაიღუპა!

– 1918 წელს მაიორი სამერფორდი ფლანდრიიდან საკუთარმა ცხენმა მას შემდეგ გადმოაგდო უნაგირიდან, რაც უეცრად მეხის გავარდნის ხმა გაისმა. სამხედრო იმდენად მძიმედ დაშავდა, რომ კიდურებზე დამბლა დაეცა. ამ უბედურების შემდეგ მაიორი ვანკუვერში გადასახლდა და თევზაობას მიჰყო ხელი.

ერთხელ, როცა ის სამ სხვა მეთევზესთან ერთად მდინარეზე იყო გასული, ჭექა-ქუხილი დაიწყო, შემდეგ მეხიც გავარდა, რომელმაც უზარმაზარი ხე მოგლიჯა და მაინცდამაინც გადამდგარ მაიორს დაეცა – მას ახლა უკვე დამბლამ სხეულის მარჯვენა ნაწილი გაუკავა. 3 წლის შემდეგ სამერფორდს მესამედ დაეცა მეხი, რასაც სრული დამბლა და რამდენიმე თვეში გარდაცვალება მოჰყვა...

ალბათ, იფიქრებთ, საცოდავს როგორ არ გაუმართლაო, მაგრამ ჯერ სად ხართ?! 1930 წლის ივნისში ვანკუვერს კვლავ გადაუარა სტიქიამ, რასაც საშინელი ჭექა-ქუხილი და მეხის გავარდნა მოჰყვა. ჰოდა, ამ საშინელმა ბუნებრივმა მოვლენამ ადგილობრივ სასაფლაოსაც დაამჩნია თავისი კვალი. უფრო კონკრეტულად კი მაინცდამაინც მაიორ სამერფორდის სამუდამო განსასვენებელი გამოიყვანა მწყობრიდან.




ცოტათი რომ ამოვისუნთქოთ ამდენი უბედურებისგან, შედარებით მსუბუქ ისტორიასაც გავეცნოთ:

– ვირჯინიას შტატის ნაციონალური პარკის მომვლელი როი სალივანი შესულია გინესის რეკორდების წიგნში იმის გამო, რომ მან მეხის დაცემა... 5-ჯერ გადაიტანა: 1942, 1969, 1970, 1972 და 1973 წლებში...

– ბუდაპეშტის მკვიდრი დიერ შერფეზი მაღალსართულიანი კორპუსის მეორე სართულის ფანჯრიდან შემთხვევით გადმოვარდა, თუმცა, საბედნიეროდ, იქვე მიმავალ ფაშფაშა ლასლო კარვაშს დაეცა თავზე. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, კვლავაც სრულიად შემთხვევით დიერ შეფეზმა მორიგი ფრენა განახორციელა, მაგრამ სიცოცხლე ისევ იმავე ქალის წყალობით შეინარჩუნა. ორივენი მხოლოდ სხეულის უმნიშვნელო დაზიანებებით გადარჩნენ.

– ანალოგიური შემთხვევა მოხდა ამერიკულ ქალაქ დეტროიტში – კორპუსის ფანჯრიდან ჩვილი გადავარდა, თუმცა იქვე მიმავალმა ჯოზეფ ფიგლოკმა მისი დაჭერა მოასწრო. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ფიგლოკი კვლავ იმავე სახლის ქვეშ გადიოდა და არ დაიჯერებთ, მაგრამ კვლავ იგივე ბავშვი იხსნა სიკვდილისგან...

– ბარსელონაში, კერძოდ კი მონკადის ქუჩაზე ძმები რამირესები მოტოციკლით გადაადგილდებოდნენ, როცა მათ ტაქსი დაეჯახათ. ექიმებმა ორივეს გადარჩენა შეძლეს და სრული გამოჯანმრთელებიდან 2 თვის შემდეგ რამირესებმა ახალი მოტოციკლი შეიძინეს... ერთ დღეს კვლავ მოუხდათ მონკადის ქუჩაზე გავლა. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ ისევ ის ნაცნობი ტაქსისტი დაეჯახათ. საბედნიეროდ, რამირესები გადარჩნენ, თუმცა სამართალდამცველებმა მათ მოტოციკლის მართვის უფლება სამუდამოდ ჩამოართვეს...

*uralweb.ru*

## ამერიკაში სექსს... დაბეგრავენ?



იელის უნივერსიტეტის პროფესორი სტეფან კარტერი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკის სექსუალურად აქტიური 200 მილიონი მოქალაქე ყოველ სექსუალურ აქტში 2 დოლარს მაინც გადაიხდის, სახელმწიფო ბიუჯეტი დამატებით 10 მილიარდ დოლარს მიიღებს.

კარტერის თქმით, ასეთი გზით მიღებული თანხები იმ ქალების მშობიარობაზე დაიხარჯება, რომლებსაც დაზღვევა ყველა ხარჯს ვერ უფარავს.

გარდა ამისა, პროფესორი დარწმუნებულია, რომ სექსის დაბეგვრა კათოლიკურ ეკლესიასთან წარმოქმნილ უთანხმოებასაც მოაგვარებს.

ამ უთანხმოების მიზეზი ის გახდა, რომ ამერიკის ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებით, 2012 წლის 1-ელი აგვისტოდან დაზღვევამ მოქალაქეებს კონტრაცეპტივებზე დახარჯული ფულიც უნდა აუნაზღაუროს.

რა თქმა უნდა, სექსის შესაძლო დაბეგვრის პერსპექტივამ ამერიკელებში უზარმაზარი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ისინი საპროტესტო აქციებითაც კი დაიმუქრნენ.

საინტერესოა, თუკი აქციებამდე მართლა მივიდა საქმე, როგორი იქნება ლოზუნგები – „ორი აქტი სამ დოლარად ვერა?“ თუ „თქვენი დედაც, ჯეკ!“...

*focus.ua*

## სტრესის დასამარცხებლად... არომატები



თუკი ხშირად გიწევთ ნერვიულობა, დახმარებისთვის მცენარეებს უნდა მიაკითხოთ – ლავანდი, მანგო, ლიმონი და კიდევ მრავალი მცენარე პრობლემებს ადვილად მოგიგვარებთ!

იაპონელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სხვადასხვა არომატის შესუნთქვა ორგანიზმში სერიოზულ ცვლილებებს იწვევს. კერძოდ, იცვლება გენების აქტიურობა და სისხლის მიმოქცევა. შედეგი კი ასეთია – მცირდება დაძაბულობის დონეც.

სპეციალისტები გვახსენებენ, რომ არომათერაპიას განტვირთვისთვის და მშვიდი ძილისთვის ჯერ კიდევ უხსოვარ დროშიც მიმართავდნენ. დღეს კი ის არატრადიციული მედიცინის განუყოფელ ნაწილად არის ქცეული.

იაპონელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ არომათერაპია აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს ტრადიციულ მედიცინაშიც, რადგან ის სტრესის გარდა, ადამიანის ძალიან ბევრი სხვა პრობლემის მოგვარებასაც ახერხებს და სხვადასხვა მცენარეს დაახლოებით 100-მდე გენის მუშაობის შესუსტება შეუძლია, რომელიც სტრესის ჩამოყალიბებას იწვევს.

*medkarta.com*

## მეცნიერები საჭმელად ვარგისი... ბოთლების შექმნას აპირებენ



ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ პლასტმასის ბოთლი ეკოლოგიას ძალიან დიდ ზიანს აყენებს. თუ გახსოვთ, ისიც გვაქვს მოყოლილი, რომ სადღაც აფრიკასთან ახლოს პლასტმასის ბოთლებისგან „კუნძულიც“ კი გაჩნდა.

მოკლედ, პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და მსოფლიოს საუკეთესო მოაზროვნეები ცდილობენ, პლასტმასის უტილიზაციის პრობლემა როგორმე მოგვარდეს, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგის მიღება ვერ ხერხდება.

ჰარვარდის სპეციალისტებმა საკითხი ამგვარად დასვეს: რატომ არ შეიძლება, რომ პლასტმასის ბოთლებზე საერთოდაც უარი ითქვას და სასმელების თუ საჭმელების ჭურჭელი საკვებად ვარგისი მასალისგან დამზადდეს.

უკვე მზად არის პროექტიც, რომლის თანახმადაც, ბოთლები თუ კონტეინერები მომზადდება სპეციალური მასალისგან, რომელიც ნატურალური წარმოშობის მქონე საკვები პროდუქტების მემბრანისგან შედგება.

უცნაური იდეის ავტორი დოქტორი დევიდ ედვარსია, რომელსაც მისი გიჟური პროექტებიდან გამომდინარე მსოფლიო უკვე კარგად იცნობს.

რამდენად მალე მოხდება პროექტის რეალიზება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*24inwes.ru*

## გარდაცვლილი... ადგა და მაცივართან მივიდა




ენამწარე და არამკითხე მეზობელი იტყოდა, „ხეირიანად სიკვდილიც არ სცოდნიაო“, მაგრამ რამდენი წლისაც არ უნდა იყოს ადამიანი, ალბათ, სიცოცხლეს მაინც მთელი ძალით ჩააფრინდება.

ჰოდა, სწორედ ასე მოხდა 95 წლის ჩინელის შემთხვევაში, რომელიც დაკრძალვის წინა დღეს უეცრად კუბოდან წამოდგა და მოშიებული მაშინვე მაცივარს მივარდა.

ეს უცნაური შემთხვევა ჩინეთის ქალაქ ბეილიუში მოხდა – 95 წლის ლი სიუფენი სრულიად მარტო ცხოვრობდა და მეზობლის იმედად იყო დარჩენილი. ერთ დღესაც, მეთვალყურემ ის საწოლში გარდაცვლილი იპოვა – მოხუცი ქალი აღარ სუნთქავდა და უკვე გაციებულიც კი იყო.

მეზობელმა, ბუნებრივია, კუბო შეუკვეთა და როცა ყველანაირი სამზადისი თითქმის დაასრულა, „გარდაცვლილი“ მხოლოდ მაშინღა გაცოცხლდა. კერძოდ, დილით, როცა ის მეზობლის სახლში შევიდა, კუბო ცარიელი დახვდა, სამზარეულოდან კი „მიცვალებულის“ ხმა შემოესმა, რომელიც ბრაზობდა, რომელმა სასიკვდილემ გამახვია სუდარაშიო.

მოკლედ, აღმოჩნდა, მთელი 6 დღის მანძილზე მოხუცი ქალი კომაში ყოფილა თავის ტრავმის გამო, დღეს კი ის კვლავ ცოცხალია.

*argumenti.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.სიგარეტის ფერფლის დასაყრელი
2.მართლმსაჯულების ორგანო
3.შიიზმის მიმდევარი
4.ძველი ქართული სამედიცინო წიგნი „... დაუდი“
5.უძრავი ქონების შესყიდვ. ფორმა
6.ექსპრეზიდენტი ჯიმი ...
7.ქართ. ხალხური ზღაპარი
8.კომპოზიტორი ... შოპენი
9.დიუმა. „... წლის შემდეგ“
10.მინდვრის ყვავილი
11.რადიოლოკატორი
12.სახიდან თმების ამოღება
13.რეჟისორი ჯეიმს ...
14.ტყის სული წვეტიანი ყურებით
15.რეჟისორი ალფონსო ...
16.ავეჯი
17.მომღერალი ... მატიე
18.სინდისი
19.ღვინის ღმერთი
20.ზღვის კომბოსტო
21.მერიმე. „... ფალკონე“
22.ყვავილი
23.ხასიათი
24.მსახიობი ... პიშარი
25.ჩაით გაშენებული ადგილი
26.„ალიბაბა და ... ყაჩაღი“
27.მსახ. ... უიზერსპუნი
28.სანტაკლაუსის სამშობლ. მხარე
29.ფანჯიკიძე. „შემვიდე ...“
30.კოსმონავტის სამოსი
31.წრეების შემოსახაზი ხელსაწყო
32.მახრჩობელა გველი ამაზონში
33.მსახიობი ნიკოლ ...
34.გემის მზარეული
35.საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი
36.მონეტების შემგროვებელი
37.დონ კიხოტის ცხენი
38.ძაფებით სამოძრაო თოჯინა
39.მხ/ფ „... ზამთარში“
40.მთა აფრიკაში
41.მშვილდით სასროლი ჯოხი
42.ველები არგენტინაში
43.დრამატურგი ჟან-პოლ ...
44.„აიდა“ პერსონაჟი
45.ნიშნავს ჩირქოვანს
46.სისხლის შემადგენელი
47.მსახიობი შონ ...
48.სამხედრო წოდება
49.ქალაქი შიდა ქართლში
50.ლითონის ფული თურქეთში
51.ხის ჯიში
52.მომღერალი ... ბაგრატიონი
53.ბუნებრივი რადიაცია: ... სხივები
54.თავდაცვის იარაღი
55.შეზღუდული კვების რეჟიმი
56.შილაფლავის სანელებელი
57.გოია. „შიშველი ...“
58.... ხართან რომ დააბა
59.ბიბლიური მოსეს ძმა
60.პატარა ტანის ძაღლი
61.სომხეთის ძველი დედაქალაქი
62.კატის ნაშიერი
63.მსახ. ბენისიო ... ტორო
64.გამსახურდია. „... მარჯვენა“
65.მსახიობი ბრედ ...
66.მუსლიმანური მარხვა
67.ჯერომ კ. ჯერომი. „... ერთ ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს“
68.ოდრი ტოტუ ფილმში
69.იაპონური თაიგული
70.მსახიობი ... ელიავა
71.მხატვარი ამედეო ...
72.ქოქოსის გული
73.საწერი მასალა ძველ ეგვიპტეში
74.ყურძნის ჯიში
75.დონ კიხოტის ავტორი
76.ჟამი
77.ცეცხლის ენა
78.... შრომა, მერე ხტომა
79.მდინარე სამხ. ამერიკაში
80.მხატვარი ანრი ...
81.ქიმიური ელემენტი
82.ლენონის ქვრივი
83.ფურცლის ერთი მხარე
84.ალკოჰოლური სითხე
85.შვიდი დღე
86.ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
87.მამლის ჯიღა
88.ბოსტნეული
89.ნაცია
90.მსახ. ... კალატოზიშვილი
91.თვითმფრინავების სადგომი
92.მდინარე საფრანგეთში
93.ორსახა ღმერთი
94.მონღოლეთის დედაქალაქი
95.ეკვადორის დედაქალაქი
96.არგენტინული ჩაი
97.ძაღლების სპეცი - ალისტი
98.არამჭრელი, ანუ ...
99.ქალაქი დას. საქართ.
100.მწვანე ადგილი უდაბნოში
101.მისი დედაქალაქია თეირანი
102.პატარა ნივთი წეკვზე
103.მსახ. ... მაკგრეგორი
104.ტროპიკული ნაყოფი
105.ანტილოპას სახეობა
106.ხორთუმიანი ცხოველი
107.ბაბუა, ანუ ...
108.მსახ. ... სილვერსტოუნი
109.ჟანრი. მუშაობდა კალმანი
110.ტაილანდის ძველი სახელწ.
111.რადიოს იტალიელი გამომგონებელი
112.მსახიობი ... ფაროუ
113.ამ ქვეყანაზე გადის არხი
114.ბიბლიური ბრძენი მეფე
115.მწერალი ემილ ...
116.მისი დედაქალაქია რომი
117.სანჰიგიენური დაწესებულება
118.მომღერალი ... მჟავია
119.რეჟისორი ... მჭედლიძე
120.სასტუმროს ოთახი
121.ცხოველი, რომელსაც თაყვანს სცემენ, როგორც ტომის მფარველს
122.მეკარე (მოძვ.)
123.სახელმწიფო აფრიკაში
124.ინფექციური დაავადება
125.ხერხემლის ძვალი
126.... მტრობას დაუნგრევია
127.მოუხარშავი
128.ფრინველის საშხვედევი
129.ლუდის მასალა
130.მსახ. ... მახარაძე
131.მდინარე თბილისში
132.ქალაქი დას. საქართ.
133.ქედი ციმბირში
134.მსახიობი ... ვენტურა
135.მსახ. ... მანჯგალაძე
136.მომღერალი ... პავლიაშვილი
137.ნორმიდან გადახრა
138.მისი დედაქალაქია დამასკო
139.საზეიმო ვოკალ. ნაწარმოები
140.ქიმიური გამხსნელი
141.... შეჯდა მწყერი ხესა
142.... ია

პასუხები: 1. საფერფლე; 2. სასამართლო; 3. შიიტი; 4. იადიგარ; 5. გირაო; 7. ასფურცელა; 8. ფრედერიკ; 9. ოცი; 10. ფურისულა; 11. რადარი; 12. ეპილაცია; 13. კამერონი; 14. ელფი; 15. არაუ; 16. მაგიდა; 17. მირეი; 18. ნამუსი; 19. დიონისე; 20. ლამინარია; 21. მატეო; 22. ტიტა; 23. ზნე; 24. პიერ; 25. პლანტაცია; 26. ორმოცი; 27. რიზ; 28. ლაპლანდია; 29. ცა; 30. სკაფანდრი; 31. ფარგალი; 32. ანაკონდა; 33. კიდმანი; 34. კოკი; 35. ტუპოლევი; 36. ნუმიზმატი; 37. როსინანტი; 38. მარიონეტი; 39. ლომი; 40. კილიმანჯარო; 41. ისარი; 42. პამპასი; 43. სარტრი; 44. რადამესი; 45. პიო; 46. პლაზმა; 47. კონერი; 48. ეფრეიტორი; 49. გორი; 50. პიასტრი; 51. რცხილა; 52. ლიზა; 53. ულტრაიისფერი; 54. ფარი; 55. დიეტა; 56. ძირა; 57. მახა; 58. ხარი; 59. აარონი; 60. ფინია; 61. ანისი; 62. კნუტი; 63. დელ; 64. დიდოსტატის; 65. პიტი; 66. რამაზანი; 67. სამნი; 68. „ამელი“; 69. იკებანა; 70. ლია; 71. მოდილიანი; 72. კოპრა; 73. პაპირუსი; 74. რქაწითელი; 75. სერვანტესი; 76. დრო; 77. ალი; 78. ჯერ; 79. ორინოკო; 80. მატისი; 81. იოდი; 82. ონო; 83. გვერდი; 84. სპირტი; 85. კვირა; 86. ნარვალი; 87. ბიბილო; 88. ნიორი; 89. ერი; 90. ნანკა; 91. ანგარი; 92. ლო; 93. იანუსი; 94. ულან-ბატორი; 95. კიტო; 96. მატე; 97. კინოლოგი; 98. ბლაგვი; 99. ფოთი; 100. ოაზისი; 101. ირანი; 102. ბრელოკი; 103. ევან; 104. ბანანი; 105. გნუ; 106. სპილო; 107. პაპა; 108. ალისია; 109. ოპერეტა; 110. სიამი; 111. მარკონი; 112. მია; 113. პანამა; 114. სოლომონი; 115. ზოლა; 116. იტალია; 117. აბანო; 118. ანანო; 119. ნანა; 120. ნომერი; 121. ტოტემი; 122. გოლკიპერი; 123. სენეგალი; 124. გრიპი; 125. მალა; 126. რაც; 127. უმი; 128. გალია; 129. ალაო; 130. კოტე; 131. ვერა; 132. ვანი; 133. ურალი; 134. ლინო; 135. ეროსი; 136. სოსო; 137. ანომალია; 138. სირია; 139. კანტატა; 140. აცეტონი; 141. არა. იკითხება: ფერნანდელი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მკვლელები კარადიდან: ჯინსები, ჰალსტუხები და ფეხსაცმელები



სიყვარულისა არ იყოს, მსხვერპლს ხელოვნებაც მოითხოვს. განსაკუთრებით, როცა საუბარი მოდასა და სტილზეა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, საუბარი მხოლოდ ფულს არ ეხება.

ახალი ფეხსაცმელები ან ელეგანტური ჰალსტუხი შესაძლოა, ადამიანს ჯანმრთელობის დაკარგვად დაუჯდეს.

ბრიტანული „თაიმის“ ჟურნალისტებმა მოიძიეს ცნობები იმის შესახებ, რა საფრთხეები იმალება გარდერობის ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივ და უწყინარ ნივთებში.

– ვიწრო ჯინსები – ამერიკული სტენფორდის უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტი ოქტავიო ბესა გვაფრთხილებს: ნუ შეეცდებით, თავი იმაზე გამხდრად წარმოაჩინოთ, ვიდრე სინამდვილეში ხართ. მისი თქმით, ვიწრო ჯინსების ხანგრძლივად ჩაცმამ, ასევე, ქამრის ზომაზე მეტად მოჭერამ, შესაძლოა, თეძოს მიდამოების დაბუჟება, ნერვული დაბოლოებებისა და თქვენ წარმოიდგინეთ, მომნელებელი სისტემის დაზიანებაც კი გამოიწვიოს. სპეციალისტი განმარტავს, რომ ვინც საკუთარი ფიგურის მინუსებს ამგვარად მალავს, ე.წ. „ვიწრო ჯინსების სინდრომის“ მსხვერპლია. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ სინდრომის ერთ-ერთი მთავარ ნიშანი კუჭის წვაა, რომელიც ვიწრო ჯინსების ხშირად ჩაცმამ შეიძლება იმასაც კი დამართოს, ვისაც კუჭთან დაკავშირებული პრობლემები არასოდეს ჰქონია.



– მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები – ის, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ქალის ჯანმრთელობას ვნებს, ძალიან ბევრჯერ თქმულა. ნიუ-იორკის ცნობილი ორთოპედი ჯონ მანკუზო ამტკიცებს, რომ აღნიშნული სახეობის ფეხსაცმლის მოყვარულებს ხშირად აწუხებთ მყესების დაჭიმვა, ნერვის დაზიანება და ფეხისგულის ძვლების მოტეხილობებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ „მაზოლებზე“. იმისთვის, რათა ასეთი უსიამოვნებები არ გამოიწვიოს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ქალებმა კვირაში მაქსიმუმ 2-ჯერ უნდა ჩაიცვან.

– ჰალსტუხი – ამერიკელი და ევროპელი მამაკაცების დაახლოებით 76 პროცენტს ჰალსტუხების შეძენა უყვარს. ექიმები კი ამბობენ, რომ მათ ხშირად აწუხებთ თავის ტკივილები და ყურში წუილის ხმები. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჰალსტუხის მოჭერა დამღუპველად მოქმედებს თავის ტვინის სისხლით მომარაგებაზე, რაც, თავის მხრივ, გულისრევით, მხედველობის გაუარესებითა და ქრონიკული დაღლილობით სრულდება.

***vesti.ru***

## შენონები მიწისძვრისთვის უხილავი გახდება?



თუკი ამის მიღწევა მართლა მოხერხდება, წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება გახდება შესაძლებელი, რამდენის პანიკურ შიშს მოეღება ბოლო და მოკლედ, ძალიან მაგარი იქნება.

როგორც ირკვევა, დოქტორი უილიამ პარნელი მანჩესტერის უნივერსიტეტიდან მუშაობს თეორიაზე, რომელიც საშუალებას გამოიღებს, შენობა მიწისძვრას ინოვაციური მასალების გამოყენებით დაემალოს.

მეცნიერმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია, სეისმურმა ტალღებმა დაცულ ობიექტებს გვერდი აუქციოს. კერძოდ, ნაგებობა ერთგვარი „უჩინმაჩინის მოსასხამით“ შეიმოსება, რაც მიწის ქვეშ ტალღების ამრეკლი სპეციალური მასალების განლაგებით მოხერხდება. ამგვარი დაცვა საშუალებას გამოიღებს, წარმოქმნილი რყევები ისე გავრცელდეს, რომ შენობას გვერდი აუაროს და შესაბამისად, არავითარი ნგრევა აღარ მოხდება.

რამდენადაც ცნობილი ხდება, უილიამ პარნელს უკვე მზად აქვს ასეთი დამცავი მასალები, თუმცა როდის მოხდება თეორიის პრაქტიკაში განხორციელება, ჯერჯერობით არ ზუსტდება.

მთავარი მაინც ის არის, რომ მეცნიერმა ასეთი მნიშვნელოვანი მიგნება გააკეთა და დაველოდოთ, იქნებ მართლაც დაამარცხოს კაცობრიობამ ერთ-ერთი ყველაზე საშინელი და დამანგრეველი უბედურება.

***dom-tehnika.ucoz.com***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**7 ოქტომბერი:** დღეს ვიღაცის უსაზღვრო ეგოიზმს შეეჩეხებით. ვერაფერს შეცვლით, საკუთარი დროის გარკვეული ნაწილი უნდა გაიმეტოთ.

**კურო 22.04-21.05**
**7 ოქტომბერი:** ბოლო ხანს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი შეგეპარათ, მაგრამ დღეს ყველაფერი გამოსწორდება. სიტუაცია ნელ-ნელა უკეთესობისკენ შეიცვლება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**7 ოქტომბერი:** ძალიან მოუთმენელი იქნებით. მოვლენა, რომლის ახდენასაც ასე ელოდებით, შეიძლება შეყოვნდეს. ნერვებს ნუ დაიწყვეტთ, მაინც ვერაფერს შეცვლით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**7 ოქტომბერი:** ბოლო ხანს საკმაოდ გადაიღალეთ, ფიზიკურადაც და ემოციურადაც. დამშვიდდით და მოდუნდით. შეეცადეთ, ეს დღე სუფთა ჰაერზე გაატაროთ.

**ლომი 23.07-22.08**
**7 ოქტომბერი:** რაც არ უნდა მოხდეს, არავის საქმეში არ ჩაერიოთ. თქვენი განზრახვა, რომ ვიღაცას დაეხმაროთ, არ დაფასდება.

**ქალწული 23.08-22.09**
**7 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს ნათელი წარმოდგენა ვერ შეიქმნათ, რატომ იქნებით კონკრეტულ ადგილას და რა უნდათ თქვენგან. გამოკითხვას ნუ დაიწყებთ, მოგვიანებით მიხვდებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**7 ოქტომბერი:** სხვა დღეებისგან განსხვავებით, კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა არ მოგიწევთ, რადგან არავინ გაგაკრიტიკებთ. თქვენს ნებისმიერ ქმედებას სათანადოდ აღიქვამენ.

**მორიელი 23.10-21.11**
**7 ოქტომბერი:** ძალიან აქტიური იქნებით, როგორც პრობლემების მოგვარებაში, ისე კონფლიქტების შექმნაში. თუ პრობლემებზე კონცენტრირებას ვერ ახერხებთ, ბალანსი მაინც შეინარჩუნეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**7 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს აზრების მოკრება გაგიჭირდეთ. სხვისას მიენდეთ, ოღონდ ისეთი ვინმე შეარჩიეთ, ვისი აზრებიც თქვენთვის ძალიან უსიამოვნო არ არის.

**თხის რქა 22.12-19.01**
**7 ოქტომბერი:** გაერთეთ, მაგრამ ხანდახან გაიხსენეთ, რომ თქვენი თავისუფლების საზღვრები იქ მთავრდება, სადაც სხვების იწყება. დარწმუნებული ხართ, რომ ხელს არავის უშლით?

**მერწყული 20.01-18.02**
**7 ოქტომბერი:** ასეთი ხელგაშლილი ნუ იქნებით, დიდი ალბათობით, ამით მავანი უსინდისოდ სარგებლობს და შეიძლება ზოგიერთებმა ეს ვალდებულებადაც ჩაგითვალოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**7 ოქტომბერი:** თქვენი დიდი ხნის იმედი, შეიძლება აუხდენლად მოგეჩვენოთ, რადგან არცთუ დამაიმედებელი გარემოებები გამოჩნდება. არ ინერვიულოთ, შეიძლება მათთან შეგუება რთული არ იყოს.



ჩვენს უსაყვარლეს და უკეთილშობილეს მიშო სახვაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს? გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს შენს ულამაზეს ცოლ-შვილთან ერთად!

„ალია ჰოლდინგი“

## სქესის გამო აბორტების გაკეთება დიდი ბრიტანეთის პრობლემაც ყოფილა



ერთი შეხედვით, გასაკვირი ამაში არც არაფერი იქნებოდა, რომ არა ევროპელების თავგადაკლული სწრაფვა დემოკრატიული ღირებულებებისკენ, თანასწორუფლებიანობისკენ, ცხოველთა უფლებების დაცვისკენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მონეტის ერთი მხარეა, რომლის მეორე ნაწილიც ამყაყებული და სავალალოა. როგორც ირკვევა, ცნობილი ბრიტანული გამოცემის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტებმა ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა აბორტები ჩანასახის სქესის გამო კეთდება.

რეპორტიორებმა ფეხმძიმე ქალთან ერთად ცხრა გინეკოლოგიური კლინიკა მოიარეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. თითოეულ მათგანში პაციენტი ექიმებს ეუბნებოდა, რომ აბორტის გაკეთება სურდა, რისი მიზეზიც ბავშვის სქესი იყო.

სამ კლინიკაში ექიმებმა თქვეს, რომ, როგორც წესი, ზედმეტ კითხვებს არ სვამდნენ და პაციენტების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. ერთ შემთხვევაში გინეკოლოგმა პირდაპირ განაცხადა, რომ მზად იყო, საჭირო საბუთები გაეყალბებინა, მეორეში ექიმმა თქვა, რომ მისი მიღების საათები დამთავრდა, თუმცა პაციენტი კოლეგას მიაღებინა და მიანიშნა, რომ ორსულისთვის ზედმეტი კითხვები არ დაესვა.

მხოლოდ რამდენიმე ექიმი არ დასთანხმდა აბორტის სქესის გამო გაკეთებას და განმარტა, რომ ეს კანონით იყო აკრძალული.

ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტრომ საკუთარი გამოძიება დაიწყო, რომლის შედეგადაც გამკაცრდება რეგულაციები კლინიკებში, სადაც აბორტები კეთდება.

***medportal.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20